პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, მეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ORGAN TSENTRALNOGO KOMITETA KP (b) GRUZII i SOVETOV DEPUTATOV TRUDYASHCHIKHSA GRUZINSKOI SSR

გამოცემის 33-ე წელი

№ 150 (9310)

ხუთშაბათი 26 ივნისი 1952 წ.

ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მკის დღეებში — მოწინავე (1-ლი გვერდი).

უკრაინაში პურეულის მასობრივი აღების წინ (1-ლი გვერდი).

ვ. აბაშიძე — საბჭოთა საქართველოს ჰიდროენერგეტიკის პირმშო (მე-2 გვერდი).

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში (მე-2 გვერდი).

უკანასკნელი ფოსტიდან (მე-2 გვერდი).

უყურადღებობა პირუტყვისათვის საკვების მოამზადებაში (მე-3 გვერდი).

თელავში მუშაობლობა ბინადრობა (მე-3 გვერდი).

ვ. შავგულიძე — ჩაძირული საქმე (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მკის დღეებში

ჩვენი რესპუბლიკის აღმოსავლეთ რაიონებში მალე მასობრივად გაიშლება თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება, მარცვლეულის დამზადება. მოსავლის საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში და უდანაკარგოდ აღება, პურის დამზადების გეგმის შესრულება უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანაა. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას უნდა დაუქვემდებარდეს ახლა პურის რაიონების პარტიული ორგანიზაციების მთელი მუშაობა.

სოფლის პარტიული ორგანიზაციების ძირითადი ამოცანა ამჟამად ის არის, რომ უზრუნველყონ მოსავლის ასაღებად მთელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების სრულად გამოყენება, ყველა კოლმეურნის, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა ჩაბმა სოციალისტურ შეჯიბრებაში თავთავიანი კულტურების დროზე და უდანაკარგოდ აღებისა და მარცვლეულის დამზადების სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის.

მოსავლის აღებისა და პურის დამზადების ბედს ადამიანები—საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები წყვეტენ. ამიტომ მათ შორის მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას, მათ დარაზმვას ამ პასუხსაგები სამუშაოს შესრულებისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება.

ბევრგან სოფლის პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც შეუდგნენ სოფლის მეურნეობაში დაშვებულ დარღვევათა და ნაკლოვანებათა გამოსწორებას, მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებენ თავთავიანი კულტურების მოსავლის დროზე და უდანაკარგოდ აღებისათვის, ქმნიან პირობებს იმისათვის, რომ კოლმეურნეობებმა ღირსეულად შეასრულონ თავიანთი პირველი მცნება—სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება, სერიოზულ ყურადღებას აქცევენ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მაღალ დონეზე მოწყობას.

მიუხედავად ამისა, ბევრი პარტიული ორგანიზაცია არადამაკმაყოფილებლად იყენებს ყველა ძალასა და საშუალებას მოსავლის ასაღებად სანიმუშოდ მომზადებისათვის, უგულებელყოფს ამ საქმეში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მნიშვნელობას. ამის ნათელსაყოფად მრავალი ფაქტის დასახელება შეიძლება. მცხეთის რაიონის სოფელ ძალისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა მზად არ არის მოსავლის ასაღებად. მოუწესრიგებელია სასაწყობო მეურნეობა; კოლმეურნეობაში მოსავლის ნაწილი ხელით უნდა აიღონ. კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ კი კარგად არ იცის რა მდგომარეობაშია წვრილი ინვენტარი. საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია და მისი მდივანი ამხ. ე. ჩანადირი სრულ უმოქმედობას იჩენენ. ჩაშლილია სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა. კოლმეურნეობაში ერთ დროს 27-მდე აგიტატორი იყო გამოყოფილი. მაგრამ ახლა თითქმის არც ერთი არ მუშაობს. არ ეწყობა საუბრები, ლექციები. ამიტომ საკვირველი როდია, რომ კოლმეურნეობაში დაბალია შრომის დისციპლინა, კოლმეურნეთა ნაწილი არ გამოდის სამუშაოზე.

არ შეიძლება შევურიგდეთ ნაკლოვანებებს მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში, ამ მუშაობის მნიშვნელობის შეუფასებლობას. სოფლის პარტიული ორგანიზაციების სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა უნდა ემსახურებოდეს სოფლის მშრომელთა პოლიტიკური შეგნების დონის შემდგომ ამაღლებას, კოლმეურნეობებში დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებას, სამეურნეო გეგმების გადაჭარბებით შესრულებას.

მოსავლის აღებისა და პურის დამზადების პერიოდში პარტიულმა ორგანიზაციებმა მთელი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა უნდა გადაიტანონ მინდვრად, საკოლმეურნეო ბრიგადებში, სააგიტაციო მუშაობა უნდა წარმოებდეს იქ, სადაც წყდება საქმის წარმატების ბედი. საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა ისე გაანაწილონ თავიანთი ძალები, რომ თვითეულ საკოლმეურნეო ბრიგადაში იყოს აგიტატორი. აგიტატორებად პირველ რიგში უნდა გამოვიყენოთ ბრიგადებში მუდმივად მომუშავე მოწინავე კოლმეურნეები, კომბაინერები, სოფლის ინტელიგენცია.

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსავლის აღების ვადების მტკიცედ დაცვას, მისი გაჭიანურება იწვევს დანაკარგებს. აგიტატორების მოვალეობაა დაეხმარონ ბრიგადირებს, კოლმეურნეობების ხელმძღვანელებს კოლმეურნეთა შორის მაღალი ორგანიზებულობისა და დისციპლინის დანერგვით. აგიტატორი თვალყურს უნდა ადევნებდეს, რომ კოლმეურნეებმა უქმად არ დაკარგონ არც ერთი დღე, არც ერთი საათი, ყველანი პატიოსნად მუშაობდნენ. საჭიროა აგიტატორებმა ზარმაცი, დისციპლინის დამრღვევი კოლმეურნეების გარშემო შექმნან საზოგადოებრივი აზრი, მკაცრად გაიცხონ მათი საქციელი, ამასთან ფართო პოპულარიზაცია უყონ მოწინავეთა მიღწევებს.

საკოლმეურნეო წესდების განუხრელი დაცვა, კოლმეურნეობაში, ბრიგადაში ბოლშევიკური წესრიგის დამყარება, იმის მიღწევა, რომ თვითეული კოლმეურნე ზუსტად ასრულებდეს საკოლმეურნეო წესდებას, პატიოსნად მუშაობდეს—აგიტატორთა ერთ-ერთი სერიოზული ამოცანაა.

კოლმეურნე გლეხობის ინტერესები, მისი პოლიტიკური დონე განუზომლად არის გაზრდილი. მას აინტერესებს არა მარტო ის, თუ რა ხდება მის კოლმეურნეობაში, მის რაიონში, არამედ ისიც, თუ რა ხდება მთელ საბჭოთა კავშირში, აინტერესებს საერთაშორისო მოვლენები. კოლმეურნეთა ეს გაზრდილი მოთხოვნილება რომ დააკმაყოფილონ, აგიტატორები ბეჯითად უნდა მუშაობდნენ თავიანთი პოლიტიკური დონის ასამაღლებლად, ხოლო პარტიული ორგანიზაციები ყოველდღიურად ეხმარებოდნენ მათ. საჭიროა სისტემატურად ეწყობოდეს აგიტსემინარები, ამასთან ამ სემინარებზე განხილული საკითხები ნამდვილად ეხმარებოდეს აგიტატორებს თეორიული დონის ამაღლებასა და მეთოდურ დახელოვნებაში. სოფლად სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის საკითხი პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუდმივი ზრუნვის საგანს უნდა წარმოადგენდეს. აგიტატორები სისტემატურ ინსტრუქტაჟს და რჩევა-დარიგებას უნდა იღებდნენ.

მოსავლის დროზე და უდანაკარგოდ აღებისა და მარცვლეულის დამზადების გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სოფლის მშრომელთა დასარაზმავად უნდა გამოვიყენოთ პოლიტიკური, სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის ყველა ფორმა და საშუალება—რადიო, კინო, კედლის გაზეთი, საველე გაზეთი, ლოზუნგები, მოწინავეთა დაფა.

პარტიულმა ორგანიზაციებმა მთელი ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აყვანით უნდა უზრუნველყონ მოსავლის წარმატებით აღება, პურის ჩაბარების სახელმწიფო გეგმის პირნათლად შესრულება, კოლმეურნეობათა შემდგომი სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცება, სოფლის მეურნეობაში ახალი აღმავლობის მიღწევა.

საბჭოთა საქართველოში





ლენინის სახელობის ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურს 25 წელი შეუსრულდა.

სურათზე: 1. სადგურის მოწინავე ადამიანები, ორდენოსნები (მარცხნიდან მარჯვნივ) უფროსი მემანქანეები გ. ამირანაშვილი და ვ. ძაგანიშვილი, ხარატი ხ. ოქრუაშვილი, ზეინკალი ი. ყიფიანი; 2. სამანქანო დარბაზის საერთო ხედი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

რკინიგზელის სტაჟინური დღის შესახვედრად

სავაგონო დეპომ მუშაობა გააუმჯობესა

ხაშური. (საკ. კორ.). სავაგონო დეპოს კოლექტივმა მიმდინარე წლის განვლილ თვეებში საწარმოო დავალება ვერ შეასრულა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ საკმაო რაოდენობით არ მოეპოვებოდათ ვაგონების შეკეთებისათვის საჭირო მასალა, რკინიგზის სადგური დროულად არ აწარმოებდა შესაკეთებელი ვაგონების ახსნასა და შესაკეთებლად ჩაყენებას, დეპოში ცუდად იყო ორგანიზებული შრომა. ეს ნაკლოვანებანი ივნისში აღმოიფხვრა. ახლა დეპოს კოლექტივი მაღალნაყოფიერად მუშაობს.

ივნისის პირველ და მეორე დეკადაში მევაგონეებმა სატვირთო ვაგონების კაპიტალური შეკეთების თვიური დავალება შეასრულეს. ამას გარდა საშუალო შეკეთებიდან გეგმით გათვალისწინებული 16 ვაგონიდან 20 ივნისისათვის გამოუშვეს 11, ხოლო წლიური შეკეთებიდან 65 ვაგონი.

მაღალნაყოფიერად მუშაობენ და დღიურ დავალებებს 140-150 პროცენტით ასრულებენ დეპოს მოწინავე ზეინკლები ვ. კვიციანაძე, სიმონ და შალვა ქიტიაშვილები, ვ. სულეიმანაშვილი, დურგლები რ. ხომასურიძე, რ. ქარუხნიშვილი, თ. ამბოკაძე და მეთუნუქე ვ. ტაბუცაძე.

სჭახანოვურ ვახჭზე

რუსთავი. (საკ. კორ.). ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის რკინიგზის სატრანსპორტო კანტორის კოლექტივმა, რომელიც რკინიგზელის დღისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაშია ჩაბმული, 5 თვეში ტვირთზიდვის გეგმა 106 პროცენტით შეასრულა, ხოლო ორთქლმავლების გარეცხვათაშორისი რემონტის დავალება — 116 პროცენტით. კანტორის კოლექტივმა ამ ხნის განმავლობაში 167 ათასი მანეთი დაზოგა და მარტო აპრილსა და მაისში გეგმის გადამეტებით ათეული ათასი ტონა ტვირთი გადაზიდა.

წარჩინებულმა მემანქანემ ი. სოკოლოვმა შეიმუშავა ახალი კონსტრუქციის მსუბუქი ხელსაწყო. თუ წინათ რელსებიდან ამცდარი ვაგონის რელსებზე შეყენებისათვის 6 კაცი იყო საჭირო, ახლა აღნიშნული ხელსაწყოთი ამ სამუშაოს ადვილად ასრულებს ერთი კაცი.

სატრანსპორტო კანტორის მოწინავე რკინიგზელები: მემანქანე ა. სიხარულიძე, ხარატი დათუკიშვილი, სალიანდაგო სამსახურის მუშა ო. მაისურაძე; მემანქანის თანაშემწეები ა. სვანიძე, გ. სინელნიკოვი და სხვები ივნისის დასაწყისიდან სტახანოვურ ვახტზე დადგნენ და მაღალნაყოფიერი შრომის შესანიშნავ ნიმუშებს იძლევიან.

მეაბრეშუმეთა ნარმაჯები

ყვარელი. (საკ. კორ.). ყვარლის რაიონის მეაბრეშუმეები წელს აბრეშუმის პარკის უხვ მოსავალს იღებენ. შილდის კუბინშვილის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ნ. მიქელაშვილმა 6 გრამი აბრეშუმის თესლიდან 26 კილოგრამი აბრეშუმის პარკი ჩააბარა. მეაბრეშუმე თ. უტურაშვილმა გეგმის გადამეტებით ჩააბარა 9 კილოგრამი, ხოლო მ. ნიკოლოზიშვილმა — 8 კილოგრამი პარკი.

აბრეშუმის პარკის ჩაბარებაში დღემდე მოწინავეობას სანავარდოელი მეაბრეშუმეები ინარჩუნებენ.

ქვის სახერხი თბილისური დაზგები

კალინინის სახელობის თბილისის მექანიკურ ქარხანაში გასული წლის დამლევს აითვისეს და გამოუშვეს 2 ცალი ქვის სახერხი დაზგა, რომელიც გადაეცა საქართველოს მარმარილოს ტრესტს თავის საწარმოებში გამოსაყენებლად.

წელს დაიწყო ამ დაზგების სერიული გამოშვება. დამზადებული დაზგების ნაწილი გაიგზავნა ლენინგრადში, რამდენიმე ცალი კი სომხეთში. ქვის სახერხი დაზგების გამოშვება გრძელდება.

ამ დაზგების ათვისებაში თავი ისახელეს მექანიკური საამქროს უფროსმა ო. შეხიკანმა, ამწყობი საამქროს კოლექტივმა, განსაკუთრებით ზეინკლებმა ა. მთიულიშვილმა, ვ. ლატარიამ და გ. პირადოვმა.

ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წელს გეგმის გადამეტებით დაამზადოს რამდენიმე ქვის სახერხი დაზგა.

ახალი პურსაცხობი ქარხანა

დიდუბეში მტკვრის ნაპირას ხარაჩოებში ჩასმული დიდი შენობის კორპუსი ჩანს. ეს კორპუსი განკუთვნილია უახლესი საბჭოთა ტექნიკით აღჭურვილი ახალი პურსაცხობისათვის.

დიდუბის ქარხანა ერთ-ერთი უდიდესი იქნება თბილისის პურსაცხობ ქარხნებს შორის. ცხობის პროცესები აქ მთლიანად მექანიზებული იქნება. ყველა შრომატევად სამუშაოს — ფქვილის გაცრას, ცომის მოზელას, დაჭრას, დაყალიბებას და ღუმელში მოთავსებას ავტომატები და მექანიზმები შეასრულებენ. ამით მუშების შრომა გაადვილდება და პურის ცხობის ხარისხიც გაუმჯობესდება.

ქარხნის მშენებლობა და მოწყობილობის მონტაჟი გაცხოველებით მიმდინარეობს. მშენებლებს და მემონტაჟეებს გადაწყვეტილი აქვთ ქარხანა ასამუშაოებლად გაამზადონ მიმდინარე წლის ბოლოსათვის.

უკრაინაში პურეულის მასობრივი აღების წინ

კიევი, 24 ივნისი. (საკდესი). უკრაინის სამხრეთ ოლქებში მთავრდება საშემოდგომო ნათესების დაპურება, თავთავს იკეთებს საგაზაფხულო ნათესები. მთავრდება ჭვავისა და ხორბლის ყვავილობა რესპუბლიკის სხვა ოლქებშიც. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკები მოსავლის აღებისათვის ემზადებიან. უკრაინის მტს-ებმა და კოლმეურნეობებმა ბევრი ახალი მანქანა მიიღეს. კომბაინებით პურს აიღებენ ისეთ ფართობზე, რომელიც შარშანდელს 15 პროცენტით აღემატება. მტს-ები ნერგავენ კომპლექსურ მექანიზაციას და მოსავლის კომბაინით აღებასთან ერთად ნაწვერალს აოშავენ მთელი აღებული ფართობის 75 პროცენტზე. ჩალა და ნამჯა კომბაინების მუშაობის დამთავრებისთანავე გატანილ იქნება მისაბმელი, ჩამოსაკიდი და გვარლის კაბდოებით 3,5 მილიონი ჰექტარი ფართობიდან.

კალოებზე მზადდება მარცვლის გახმობის, გაწმენდის, აწონისა და დატვირთვის, ჩალისა და ნახორის დაზვინვის კომპლექსური მექანიზაცია. ეს მუშაობა შესრულდება ელექტრომოტორების, ძრავების, ამძრავების, მექანიკური ელევატორების, პნევმატიკური ტრანსპორტიორების, მარცვალსუფლტერების, დამზვინავი და სხვა მანქანების დახმარებით. საკოლმეურნეო ყანებში უკვე მოწყობილია 6 ათასზე მეტი მექანიზებული კალო, აქედან ათას ხუთასი კალო ელექტროფიცირებულია. პურის აღებასა და გალეწვას მნიშვნელოვნად დააჩქარებს სალეწ და საკომბაინო აგრეგატებზე ელექტროგანათების მოწყობა, რაც ღამე მუშაობის შესაძლებლობას შექმნის.

რესპუბლიკაში მთავრდება მოსავლის ასაღები მანქანების რემონტი. მანქანებზე მოეწყობა მარცვალსაჭერები და სამარაგოები ჩაწოლილი პურის ასაღებად. მთავრდება აგრეგატების დაკომპლექტება კარგად მომზადებულ მექანიზატორთა კადრებით და მოსახერელ კოლმეურნეთა მუდმივი შემადგენლობით. სამუშაო გეგმებით გათვალისწინებულია ყველა მექანიზატორისა და კოლმეურნის მტკიცე შეთანხმებული მუშაობა. დიდი ყურადღება ექცევა დახურული კალოების, ფარდულების, მარცვალსახმობების, მარცვლის ჰაერითა და მზით გახმობის მოეწყობის, ბრეზენტებისა და სხვა ინვენტარის მომზადებას, რაც უზრუნველყოფს ყოველგვარ ამინდში პურის შეუფერხებელ ლეწვას, გაწმენდას და სახელმწიფოსათვის ჩაბარებას.

ყველა მექანიზატორისა და კოლმეურნის მუშაობა ისე ეწყობა, რომ ყოველი კოლმეურნე ყოველდღე იღებდეს მონაწილეობას სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარებაში, ზუსტად ასრულებდეს დამზადებულ პუნქტებში პურის მიზიდვის გრაფიკს.

ბევრმა კომბაინერმა თავისი მანქანა უკვე გაიყვანა ყანაში, სწავლობს ასაღებ ნაკვეთებს. აზუსტებს კომბაინის აგრეგატით მუშაობის მარშრუტებს.

კონსტრუქტორები აუმჯობესებენ მანქანებს

ლენინგრადი, 24 ივნისი. (საკდესი). ს. მ. კიროვის სახელობის ქარხანა „ელექტროსილას“ კონსტრუქტორები ერთმანეთს ეჯიბრებიან უფრო გაუმჯობესებული მანქანების შექმნისათვის, შრომის ხარჯვის შემცირებისა და მასალის მომჭირნეობისათვის.

ამჟამად საწარმოში მთავრდება სწრაფად მომუშავე ჰიდროგენერატორის დამზადება. ამ მანქანის დაპროექტებისას ინჟინრებმა ბევრი რამ ახალი შეიტანეს მის კონსტრუქციაში. ამან შესაძლებელი გახადა როტორების მექანიკური დამუშავებისას ერთიოთხად შემცირებულიყო ლითონის ნარჩენი. მუშებმა ათასობით ჩარხ-საათი დაზოგეს.

ჰიდროგენერატორების კონსტრუქტორთა ჯგუფმა ა. ს. ერემეევის ხელმძღვანელობით დაამთავრა ერთ-ერთი ჰიდროელექტროსადგურისათვის მძლავრი აგრეგატის სამუშაო ნახაზების დამუშავება. უფრო სრულყოფილი კვანძებისა და დეტალების შექმნის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა მისი წონა წინათ გამოშვებულ მანქანებთან შედარებით. თვითეული აგრეგატის დამზადებისას დაზოგილ იქნება ორას ტონამდე ლითონი.

ტურბოგენერატორთა საკონსტრუქტორო ბიურომაც მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებას დასამზადებელი მანქანების შრომატევადობის შემცირებისა და მათი წონის შემსუბუქებისათვის შეჯიბრებაში.

მეყალიბე კ. პ. პავლოვის ძვირფასი ინიციატივა

ლენინგრადი, 24 ივნისი. (საკდესი). კარლ მარქსის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის წარჩინებული მეყალიბე კ. პ. პავლოვი სერიული დეტალების დაყალიბების პროგრესული მეთოდის ინიციატორია.

საამქროში, სადაც იგი მუშაობს, დაიწყო საქსოვი თითისტარის დეტალების ჩამოსხმა. ამხ. პავლოვმა შეისწავლა ტექნოლოგიური პროცესი და შეამჩნია, რომ საყალიბო ყუთებში ერთსა და იმავე დროს შეიძლება დაყალიბდეს არა ექვსი, არამედ მეტი დეტალი. იგი მოეთათბირა ტექნოლოგებს, მოახდინა საჭირო გაანგარიშება და წინადადება შეიტანა — საყალიბო ყუთების მოცულობის შეუცვლელად თვითეულ მათგანში დაყალიბდეს 8 დეტალი. საყალიბო ყუთებში ამხ. პავლოვის მეთოდით მოდელების განლაგებამ დაზოგა ლითონი.

მარტო სამი დიდსერიული დეტალის დამზადებისას ამხ. პავლოვის წინადადების გამოყენება ქარხანას ამ შეკვეთებზე უზოგავს 90 ტონა თხევად თუჯს და 15 პროცენტით ადიდებს შრომის ნაყოფიერებას.

საწარმოს მეტალურგებმა წლის პირველ ნახევარში დაზოგეს 200 ტონა თუჯი და ვალდებულება იკისრეს წლის დამლევამდე კიდევ 300 ტონა დაზოგონ.

ჭვირთები დონის როსტოვისათვის

გორკი, 24 ივნისი. (საკდესი). გორკის სამდინარო ნავსადგურის მექანიზატორებმა დაიწყეს ხე-ტყის მასალის დიდი პარტიების დატვირთვა, რაც აზოვსა და დონის როსტოვში ვოლგა-დონის სანაოსნო არხით იგზავნება. გუშინ ვოლგის ქვემოწელისაკენ გაიგზავნა ათასობით კუბური მეტრი ხე-ტყით დატვირთული პირველი კარჭაპები, რომლებიც ნავსადგურის კოლექტივმა ვადამდე დაამუშავა.

დღეს აქ მწყობრში ჩადგა კიდევ ერთი მექანიზებული სატვირთო მისადგომი. იგი განკუთვნილია იმისათვის, რომ რკინიგზიდან გემებში ჩატვირთონ მაღაროების ბიგები, რაც დონში იგზავნება, და გემებიდან რკინიგზის ვაგონებში გადატვირთონ სხვადასხვა ხე-ტყის მასალა. მსუბუქი მრეწველობის საწარმოებისათვის ხე-ტყის მასალით დატვირთული პირველი კარჭაპის გადმოტვირთვა ახალი მისადგომის სტახანოველებმა ახალი ტექნიკის მეოხებით ვადაზე მნიშვნელოვნად აღრე დაამთავრეს.

შორეული აღმოსავლეთის საშენი მასალების ახალი საწარმოები

ხაბაროვსკი, 24 ივნისი. (საკდესი). დღეს ამურის ნიკოლაევსკში საძირკველი ჩაუყარეს დიდ მექანიზებულ აგურის ქარხანას. იგი წელიწადში გამოუშვებს 14 მილიონ ცალ აგურს. საწარმო პროდუქციით მოამარაგებს თევზის მრეწველობის ახალშენებლობებს, ქვემო ამურისა და ოხოტსკის ზღვის სანაპიროს კოლმეურნეობებსა და საწარმოებს.

ვითარდება აგრეთვე მხარის საშენი მასალების მრეწველობის სხვა დარგები. ქალაქებსა და დაბებში შენდება აგურისა და კირის ახალი ქარხნები, კერამიკის ნაწარმის საწარმოები, სათბობი მოწყობილობის, თერმოსაიზოლაციო მასალებისა და სხვა საწარმოები.

მას შემდეგ, რაც ახალი საწარმოები საექსპლოატაციოდ გადაეცემა, საშენი მასალების წარმოება მხარეში ერთიორად და მეტად გადიდდება.

ახალი უმაღლესი სასწავლებლები და ფაკულტეტები

ფართოვდება ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების ქსელი. მარტო 1951-1952 სასწავლო წელს შეიქმნა თვრამეტი ახალი უმაღლესი სასწავლებელი. შემოდგომაზე დაარსდება ახალი ინსტიტუტები: სტალინგრადში — საქალაქო მეურნეობის ინჟინრებისა, ტომსკში — საინჟინრო-სამშენებლო, სემიპალატინსკში — ზოოვეტერინარიისა, კრასნოიარსკსა და ქუთაისში — სასოფლო-სამეურნეო, იჟევსკში — მექანიკის ინსტიტუტი. მიჩურინსკში, არზამასში, დაუგავპილსში, ბალაშოვში, ორსკსა და სხვა ქალაქებში გაიხსნება პედაგოგიური ინსტიტუტები.

ბევრ უმაღლეს სასწავლებელთან ეწყობა ახალი ფაკულტეტები. ოდესის ჰიდროტექნიკის ინსტიტუტში იქნება სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ფაკულტეტი, პენზის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში — სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტი, მაიკოპის პედაგოგიურ ინსტიტუტში — ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი.

ჩვენი ქვეყნის ორმოცდაათზე მეტ ქალაქში უმაღლესი სასწავლებლებისათვის შენდება სასწავლო და საცხოვრებელი შენობები.

ი. ბ. სტალინის შრომისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია ფილოსოფიის ინსტიტუტში

30 ივნისს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტი იწვევს მე-11 სამეცნიერო სესიას, მიძღვნილს ი. ბ. სტალინის გენიალური შრომის „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ გამოსვლის ორი წლისთავისადმი.

სესიის პირველი სხდომა შედგება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში სადამოს 8 საათზე. ამ სხდომაზე მოხსენებებს გააკეთებენ: მეცნიერებათა კანდიდატი ს. გაბარაევი — „ბაზისისა და ზედნაშენის შესახებ მარქსისტული მოძღვრების განვითარება სტალინის შრომაში— „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“; მეცნიერებათა კანდიდატი გ. კალანდარიშვილი — ენისა და აზროვნების დამოკიდებულების საკითხები ი. ბ. სტალინის შრომაში „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“; მეცნიერებათა დოქტორი ლ. გოკიელი — მეცნიერების ერთიანობის საკითხის განხილვა ი. ბ. სტალინის საენათმეცნიერო შრომების საფუძველზე.

1 ივლისს გაიმართება მეორე სხდომა, რომელზეც მოსმენილი იქნება სამი მოხსენება: უმცროსი მეცნიერ თანამშრომლის ნ. ჭავჭავაძისა — მეცნიერების კლასობრიობის საკითხი ი. ბ. სტალინის მოძღვრების მიხედვით; მეცნიერებათა კანდიდატის მ. ჭელიძისა — ენის როლი შემეცნების პროცესში და მეცნიერებათა კანდიდატის ს. წერეთლისა — დაპირისპირებულთა ერთიანობის სტალინური გაგებისათვის.

—o—

პარტიის რაიკომების პლენუმებზე

სამტრედია. შედგა საქართველოს კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომის მორიგი პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა ამხ. მ. ნიშნიანიძე ავადმყოფობის გამო გაათავისუფლა საქართველოს კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან და გამოიყვანა ბიუროს შემადგენლობიდან, სამუშაოდან მოხსნა და ბიუროს შემადგენლობიდან გარიცხა რაიკომის მეორე მდივანი ტ. კოპალეიშვილი.

პლენუმმა საქართველოს კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. შ. შუბლაძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ს. საყვარელიძემ.

* * *

ვანი. საქართველოს კ. პ. (ბ) ვანის რაიკომის მორიგმა პლენუმმა, რომელიც ამ დღეებში შედგა, განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა ამხ. გ. ცხოვრებაძე გაათავისუფლა საქართველოს კ. პ. (ბ) ვანის რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან და გამოიყვანა ბიუროს შემადგენლობიდან.

საქართველოს კ. პ. (ბ) ვანის რაიკომის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. გ. ლილუაშვილი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ჭანტურიამ.

* * *

ზნაური. (საკ. კორ.). საქართველოს კ. პ. (ბ) ზნაურის რაიკომის მორიგმა პლენუმმა განიხილა პარტიის რაიკომის მდივნის ამხ. კ. თვალაშვილის საანგარიშო მოხსენება რაიკომის ბიუროს მუშაობის შესახებ.

პლენუმმა ამხ. კ. თვალაშვილი სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო გაათავისუფლა საქართველოს კ. პ. (ბ) ზნაურის რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან.

პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ვ. კოზაევი, ხოლო მეორე მდივნად — ამხ. გ. სამხარაძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ა. იმნაძე.

საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების სემინარი

ტყიბული. (საკ. კორ.). სოფლად პარტიული მუშაობის გაძლიერების მიზნით პარტიის რაიკომმა მოაწყო საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებისა და მათი მოადგილეების სემინარი.

სემინარზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების ზუსტად გატარების საქმეში პარტიული ორგანიზაციების ამოცანების გაშუქებას, კრიტიკისა და თვითკრიტიკის საკითხებს. ლექციები მოეწყო აგრეთვე პარტიული კრების მოწვევისა და ჩატარების პრაქტიკის, პარტიული მეურნეობის მოწესრიგებისა და საერთაშორისო საკითხებზე.

საბჭოთა საქართველოს ჰიდროენერგეტიკის პირმშო

ლენინის სახელობის ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის 25 წლისთავის გამო

ოცდახუთი წლის წინათ, 1927 წლის 26 ივნისს, მწყობრში ჩადგა ლენინის სახელობის ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური — საბჭოთა საქართველოს ჰიდროენერგეტიკის პირმშო. ამ სადგურის ამუშავება ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი იყო ლენინისა და სტალინის მიერ შემუშავებული გენიალური გეგმის — ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის სახელმწიფო გეგმის განხორციელების გზაზე.

ზაჰესის ამუშავება უდიდეს საზოგადოებრივ მოვლენას, ქართველი ხალხის ნამდვილ დღესასწაულს წარმოადგენდა. გადაწყვეტილება მდინარე მტკვარზე ზემო ავჭალის ჰიდროელსადგურის მშენებლობის დაწყების შესახებ მიღებულ იქნა 1922 წლის 27 მაისს. ამ პერიოდში თბილისის ელექტრომეურნეობა სავალალო მდგომარეობაში იყო. მოქმედებდა რამდენიმე ათეული წვრილი თბოელექტროსადგური, რომელთა საერთო სიმძლავრე 3.000 ცხენისძალას ძლივს აღწევდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის უშუალო მითითებით, მოძმე რუსი ხალხის დახმარებითა და ხელშეწყობით დაიწყო მუშაობა რესპუბლიკაში ჰიდროენერგეტიკის მძლავრი განვითარებისათვის.

ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის გაჩაღებით პრაქტიკულად დაიწყო დიდი ლენინის იმ მითითებათა განხორციელება, რომელიც მან კავკასიის ბოლშევიკებს მისცა. 1921 წელს ვლადიმერ ილიას-ძე კავკასიელ კომუნისტებს სწერდა: „მთელი ძალღონით უნდა განავითაროთ მდიდარი მხარის საწარმოო ძალები, თეთრი ნახშირი, რწყვა... ერთბაშად უნდა შეეცადოთ გააუმჯობესოთ გლეხების მდგომარეობა და შეუდგეთ ელექტროფიკაციის, რწყვის დიდ სამუშაოებს“.

პირველი ასეთი დიდი სამუშაო იყო ზაჰესის მშენებლობის დაწყება. 1922 წლის 10 სექტემბერს თბილისის ოთხი ათასმა მშრომელმა სერგო ორჯონიკიძის მეთაურობით მოაწყო კვირაობა სადგურის სადერივაციო არხის გასათხრელად და ამით საფუძველი ჩაუყარა პირველი ელსადგურის მშენებლობას მდ. მტკვარზე. მაშინდელ ძნელ პირობებში სადგურის აშენება ჩვენი რესპუბლიკის ჰიდროენერგომშენებლებისათვის საუკეთესო ტექნიკურ სკოლას წარმოადგენდა. რესპუბლიკის ჰიდროენერგეტიკის პირმშოს მთელი ქართველი ხალხი აშენებდა.

1926 წლის 2 ივნისს ზაჰესის მშენებლებს ეწვია ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი. დიდმა ბელადმა დაათვალიერა მშენებლობა, გულდასმით გაეცნო ყველა საწარმოო უბანს და ჰიდროენერგომშენებლებთან საუბარში აღნიშნა ზაჰესის უდიდესი მნიშვნელობა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის წარმატებით განვითარების საქმეში. ამხანაგმა სტალინმა ზაჰესის დამთავალიერებლების წიგნში ჩასწერა მშენებლებისადმი მისალმების სტრიქონები.

მშენებლობის დაწყებიდან ხუთი წლის შემდეგ, 1927 წლის 26 ივნისს სადგურის აგება წარმატებით დამთავრდა, საბჭოთა საქართველოს მრეწველობამ ზაჰესს პირველი დენი მიიღო. ეს იყო პირველი დიდი ჰიდროელექტროსადგური საბჭოთა საქართველოში და მეორე — ჩვენს კავშირში, ვოლხოვის ჰიდროელექტროსადგურის შემდეგ.

ზაჰესის ამუშავებას მხურვალედ მიესალმა მთელი ჩვენი ქვეყანა, ეს მოვლენა ქართველი ხალხის დღესასწაულად გადაიქცა. სადგურის გახსნისადმი მიძღვნილ საზეიმო მიტინგზე მიხეილ ივანეს-ძე კალინინმა, რომელმაც მშენებლებს პარტიისა და მთავრობის, პირადად ამხანაგ სტალინის მისალმება გადასცა, განაცხადა:

— საქართველოს და ამიერკავკასიის მუშათა კლასსა და გლეხობას სრული კმაყოფილების გრძნობით შეუძლიათ აღნიშნონ თავიანთი პირველი მხიშვნელოვანი გამარჯვება ბუნების ძალებზე.

ეს იყო 26 ივნისს, მეორე დღეს კი ასევე საზეიმო ვითარებაში საფუძველი ჩაეყარა სტალინის სახელობის რონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას.

ზაჰესის ამუშავებით საბჭოთა საქართველოს დედაქალაქმა და მახლობელმა რაიონებმა მიიღეს იაფი ელექტროენერგიის მძლავრი წყარო. ექსპლოატაციის პირველ წელს ზაჰესის დატვირთვა 3.000 კილოვატს არ აღემატებოდა, მაგრამ შემდეგ დედაქალაქის ძრწველობის განუხრელ ზრდასა და ამიერკავკასიის რკინიგზის ელექტროფიკაციასთან დაკავშირებით, სადგურის დატვირთვა ყოველწლიურად იზრდებოდა და უკვე 1928 წელს მან მიაღწია 7.000 კილოვატს.

1932 წლიდან დღის წესრიგში დადგა სადგურის მეორე რიგის სამუშაოთა დაწყების საკითხი. ზაჰესის მეორე რიგის მშენებლობა 1938 წელს დამთავრდა და იმ დღიდან სადგური მთელი საპროექტო სიმძლავრით მუშაობს.

ომამდელი სტალინური ხუთწლედების პერიოდში მძლავრად განვითარდა საქართველოს ენერგეტიკა. 1934 წელს ამუშავდა სტალინის სახელობის რიონის ჰიდროელექტროსადგური. აგრეთვე მწყობრში ჩადგნენ აჭარისწყლის ჰიდროელსადგური და ტყვარჩელის ბერიას სახელობის თბოელექტროსადგური.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ რესპუბლიკაში ახალი ძალით გაიშალა ჰიდროენერგომშენებლობა. უაღრესად ძნელ და რთულ პირობებში განხორციელდა ხრამის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. ხრამჰესი მაღალი წნევის ერთ-ერთი უმძლავრესი ჰიდროელექტროსადგურია ევროპაში. ამის შემდეგ საქართველოს ენერგოსისტემას შეემატნენ ისეთი მძლავრი ელექტროსადგურები, როგორიც არის სუხუმჰესი და ჩითახევჰესი.

დიდია ზაჰესის მნიშვნელობა ჩვენი რესპუბლიკის ენერგეტიკულ ბაზაში. ოცდახუთი წლის განმავლობაში სახალხო მეურნეობამ მისგან რამდენიმე მილიარდი კილოვატ-საათი ელექტროენერგია მიიღო.

მაგრამ მარტო ამით არ განისაზღვრება ზაჰესის მნიშვნელობა. იგი აგრეთვე იყო და არის საქართველოს ენერგეტიკოსთა კადრების სამკვედლო. ზაჰესის მშენებლობაზე აღზარდნენ ჰიდროენერგომშენებელთა გამოცდილი კადრები. სადგურის ექსპლოატაციის პერიოდში 300-ზე მეტმა ინჟინერმა და ტექნიკოსმა მიიღო პირველი საწარმოო წრთობა ზაჰესში. აქ თავისი საწარმოო პრაქტიკა გაიარა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ინსტიტუტებისა და ტექნიკუმების 900-ზე მეტმა სტუდენტმა. ამასთან ერთად ზაჰესი ჰიდროაგრეგატებთან, აგრეთვე ჰიდროტექნიკური მოწყობილობის ხანგრძლივობასა და სიმტკიცეზე დაკვირვებისა და შესწავლის თვალსაჩინო ბაზას წარმოადგენს.

ზაჰესში დღესაც ექსპლოატაციაშია პირველი ჰიდროტურბინი, რომელიც ამ 25 წლის წინათ სტალინის სახელობის ლენინგრადის ქარხნის სახელოვანმა კოლექტივმა დაამზადა. ეს ქარხანა ახლა წარმატებით ამზადებს უნიკალურ ჰიდროტურბინებს კომუნიზმის დიადი სტალინური მშენებლობებისათვის.

ზაჰესის ექსპლოატაციის 25 წელი ხასიათდება არა მარტო ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მნიშვნელოვანი გაუმჯობესებით, არამედ მოწყობილობის განუწყვეტელი სრულყოფით და სადგურის ექსპლოატაციის კულტურის ამაღლებით. ამის შედეგად ავარიების რაოდენობა 1951 წელს 1940 წელთან შედარებით სამჯერ შემცირდა, ხოლო 1942-1944 წლებში, აგრეთვე 1948 და 1950 წელს სადგური საკუთარ ძალებით უავარიოდ მუშაობდა. დიდი სამამულო ომის წლებში ზაჰესის კოლექტივი თავდადებით მუშაობდა საქართველოს მრეწველობის შეუფერხებლად მომარაგებისათვის ელექტროენერგიით. ამ პერიოდში ზაჰესმა 20-ჯერ დაიკავა მოწინავე ადგილი საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

სადგურის კოლექტივი ჩაბმულია საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და შეუპოვრად შრომობს ელექტროენერგიის გამომუშავების სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის, უკავირო მუშაობისა და საკუთარ საწარმოო საჭიროებაზე ელექტროენერგიის ხარჯვის შემცირებისათვის.

პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს ზაჰესის კოლექტივის მუშაობას და 1947 წელს სადგურის ამუშავების 20 წლისთავთან დაკავშირებით ლენინის სახელობის ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური დაჯილდოვეს შრომის წითელი დროშის ორდენით, ამასთან სადგურის მოწინავე მუშაკთა დიდი ჯგუფი დაჯილდოებულ იქნა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

ომისშემდგომ პერიოდში ზაჰესის კოლექტივის მუშაობა ხასიათდება ელექტროენერგიის გამომუშავების სახელმწიფო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისა და ახალი მოწინავე ტექნიკის დანერგვისათვის ბრძოლის შემდგომი გაძლიერებით. ამასთან ერთად სადგურის კოლექტივი იბრძვის სარემონტო სამუშაოებში შრომის ჩქარასნული მეთოდების დანერგვისა და რემონტის დროს მოწყობილობის მოცდენის შემცირებისათვის. ამ მხრივ ჩვენ, ზაჰესის ენერგეტიკოსებს, კიდევ უფრო მეტი მუშაობა გვმართებს.

ლენინ-სტალინის პარტია, საბჭოთა მთავრობა და პირადად ამხანაგი სტალინი ყოველდღიურ ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენენ ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკული ბაზის განვითარებისათვის. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1952 წლის 23 მაისის ბრძანებულებით ზაჰესის 47 მოწინავე მუშაკი წელთა ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. სტალინური მზრუნველობით აღფრთოვანებულმა ზაჰესის კოლექტივმა ელექტროენერგიის გამომუშავების 1951 წლის გეგმა 130,4 პროცენტით შეასრულა, ელექტროენერგიის თვითღირებულება შემცირა 20,1 პროცენტით და ქვეყანას მისცა 916 ათასი მანეთი ზეგეგმითი ეკონომია.

ზაჰესელები ახალი წარმატებებით ეგებებიან სახელოვან 25 წლისთავს. ელექტროენერგიის გამომუშავების ნახევარი წლის გეგმა მათ 9 ივნისისათვის გაანაღდეს. წარმატებით არის შესრულებული ყველა სხვა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლებიც.

აღნიშნავენ რა ზაჰესის ამუშავების 25 წლისთავს, საქართველოს ენერგეტიკოსები, მთელ ქართველ ხალხთან ერთად კიდევ უფრო გააძლიერებენ ბრძოლას რესპუბლიკის ენერგეტიკული ბაზის განმტკიცებისა და გაფართოებისათვის, ჰიდროენერგომშენებლობის შემდგომი მძლავრი განვითარებისათვის.

ვ. აბაშიძე,
ლენინის სახელობის ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მთავარი ინჟინერი.





ლენინის სახელობის ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური. **სურათზე:** 1. სადგურის მოწინავე ინჟინერ-ტექნიკოსები (მარცხნიდან მარჯვნივ) უფროსი ოსტატი გ. გობიანიძე, მორიგე ინჟინერი ნ. ქებაძე, ელექტროსაამქროს უფროსი ს. ელკანი; 2. მორიგე ინჟინერი ო. ებანოიძე ჰიდროელექტროსადგურის მთავარ ფართან.

ფოტო ელ. გინზბურგისა.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

ს. წ. 21 ივნისს შვეიცის მთავრობამ თავისი მოსკოველი ელჩის ბ-ნ სულმანის მეშვეობით საბჭოთა მთავრობას მიმართა თხოვნით — აცნობოს, დაუშინეს თუ არა ცეცხლი 13 ივნისს საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა ბალტიის ზღვაზე შვეიცის დს-ე ტიპის თვითმფრინავს და თუ დაუშინეს, რა პირობებში მოხდა ეს.

24 ივნისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ი. ვიშინსკიმ მიიღო შვეიცის ელჩი ბ-ნი სულმანი და განუცხადა მას შემდეგი:

„იმასთან დაკავშირებით, რომ შვეიცის მთავრობამ ამა წლის 21 ივნისის მომართვით გვთხოვა ვაცნობოთ, დაუშინეს თუ არა ცეცხლი 13 ივნისს საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა ბალტიის ზღვაზე შვეიცის დს-ე ტიპის თვითმფრინავს და თუ დაუშინეს, რა პირობებში მოხდა ეს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი.

შემოწმების საფუძველზე, რაც კომპეტენტურმა ორგანოებმა მოახდინეს, სამინისტრო აცხადებს, რომ 13 ივნისს, 13 საათსა და 10 წუთზე ვენტსპილსის რაიონში ბალტიის ზღვის მხრიდან უცხოეთის ორმა თვითმფრინავმა დაარღვია საბჭოთა საზღვარი. ნისლისა და ცუდი ატმოსფერული პირობების გამო ამ თვითმფრინავების ეროვნული კუთვნილება არ ყოფილა გამორკვეული. აღნიშნული თვითმფრინავები საბჭოთა თვითმფრინავებმა განდევნეს.

სამინისტროს საჭიროდ მიაჩნია ამასთანავე ყურადღება მიაქციოს იმ დამახასიათებელ ფაქტს, რომ საბჭოთა თვითმფრინავები არასოდეს არ არღვევენ სხვა სახელმწიფოების საზღვრებს, მაშინ როცა ამ ბოლო დროს იყო რამდენიმე შემთხვევა, რომ საბჭოთა საზღვრები დაარღვიეს უცხოეთის თვითმფრინავებმა, მათ შორის შვეიცის თვითმფრინავებმა.

სამინისტრო კვლავ მიაქცევს შვეიცის მთავრობის ყურადღებას შვეიცის სამხედრო თვითმფრინავების მიერ საბჭოთა საზღვრის დარღვევის ფაქტებს და მოითხოვს, რომ შვეიცის მთავრობამ დაუყოვნებლივ მიიღოს ღონისძიებანი, რათა არ იქნას დაშვებული ასეთი შემთხვევები.

სამინისტროს აგრეთვე საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ სსრ კავშირში, ისევე როგორც ყველა სხვა სახელმწიფოში, მოქმედებს ინსტრუქცია, რომლის თანახმად უცხოეთის თვითმფრინავის მიერ სახელმწიფო საზღვრის დარღვევის ან სხვის ტერიტორიაზე უცხოეთის თვითმფრინავის გადასვლის შემთხვევაში ამ სახელმწიფოს მფრინავები ვალდებული არიან აიძულონ იგი დაეშვას ადგილობრივ აეროდრომზე, ხოლო წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, — ცეცხლი დაუშინონ მას“.

უკანასკნელი ფოსტიდან

ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით

დღითიდღე მტკიცდება და ვითარდება ამიერკავკასიის ხალხთა სტალინური მეგობრობა. სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს პრესა ხშირად ათავსებს მასალებს ამიერკავკასიის მომმე რესპუბლიკების ცხოვრებიდან.

სომხეთის სსრ განათლების სამინისტროსა და დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის ორგანოს — გაზეთ „**სოვეტაკან დპროცის**“ (საბჭოთა სკოლა) 1952 წლის 6 ივნისის ნომერში, საქართველოს მასწავლებელთა პედაგოგიური გამოცდილების გაზიარების მიზნით მოთავსებულია გაზეთ „სახალხო განათლების“ შემცველი გვერდი.

გვერდში დაბეჭდილია შემდეგი მასალები: საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილის ამხ. ვ. ტოგონიძის წერილი „პედაგოგიური კადრების იდეური აღზრდის გაუმჯობესებისათვის“, ქ. ბათუმის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის მასწავლებლის ე. მელუას წერილი „როგორ ვაღწევ მოსწავლეთა წარმატებას“, ქ. თბილისის ქალთა 31-ე სომხური საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ი. გეგეჭკორის წერილი „საყვარული საგანი“, მ. კეკელიძის წერილი „ი. გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა“ და სხვ.

მასწავლებელი ი. გეგეჭკორი წერს:

„ჩვენი დიდი პედაგოგები ი. გოგებაშვილი და ღ. ალაანი მთელი თავიანთი ცხოვრების მანძილზე იბრძოდნენ, რომ ქართველ და სომეხ ახალგაზრდობას მისცემოდა სწავლის უფლება მშობლიურ ენაზე. ეს ოცნება უკვე რეალობად იქცა. სომეხ და ქართველ ხალხთა სტალინური მეგობრობა დღითიდღე მტკიცდება და ძლიერდება. მე ვასწავლი თბილისის ქალთა 31-ე სომხურ საშუალო სკოლაში ქართულ ენას. სკოლაში არსებობს ლიტერატურული წრე. ეს წრე ხშირად აწყობს ლიტერატურულ საღამოებს ქართველ და სომეხ მწერალთა შემოქმედებაზე. ასეთი საღამოები მოეწყო ოვ. თუმანიანის, ხ. აბოვიანის, შ. რუსთაველის, აკ. წერეთლის, ნ. ბარათაშვილის, ა. ყაზბეგის, ე. ნინოშვილის შემოქმედების შესახებ“.

გაზეთი „**სახალხო განათლება**“ 25 ივნისის ნომერში ათავსებს „სოვეტაკან დპროცის“ შემცველ გვერდს. გვერდში მოთავსებული მასალები ასახავენ სომეხ პედაგოგთა მიერ გაწეულ მუშაობას ბედნიერი საბჭოთა ბავშვების კომუნისტური სულისკვეთებით აღსაზრდელად. აზიზბეკოვის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი ა. ღარიბიანი წერს:

„აზიზბეკოვის რაიონის მიჭოანის სახელობის საშუალო სკოლაში მნიშვნელოვანი ნაშრომა წარმოებს სკოლის საუკეთესო მასწავლებელთა პედაგოგიური გამოცდილების შესწავლის, განზოგადებისა და პოპულარიზაციის დარგში. წელს მასწავლებელთათვის მოეწყო რამდენიმე საინტერესო მოხსენება ი. ბ. სტალინის საენათმეცნიერო შრომების სიღრმეზე სომხური და რუსული ენების სწავლების გარდაქმნის, მოსწავლეთა აკადემიური წარმატების დონის ამაღლების, მათემატიკის სწავლების გაუმჯობესებისა და სხვა საკითხებზე“.

გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და „სოვეტაკან დპროცის“ შემცველი გვერდები ხელს შეუწყობენ საქართველოსა და სომეხეთის სახალხო განათლების მუშაკთა დაახლოებასა და პედაგოგიური გამოცდილების ურთიერთგაზიარებას.

ერთი დამახინჯებული თარგმანის გამო

გაზეთი „**მგზნებარე კოლხიდელი**“ (ფოთი) ხშირად ბეჭდავს ლიტერატურულ მასალებს. აქ იშვიათად როდი შეხვდებით ადგილობრივ ავტორთა ლექსებს, მოთხრობებს, ნარკვევებს, ცალკეული ლიტერატურული თარიღებისადმი მიძღვნილ სტატიებს. რა თქმა უნდა ამაში არაფერია ცუდი, მაგრამ გაზეთს უნდა ვუსაყვედუროთ, რომ იგი ზოგჯერ ბეჭდავს მდარე ხარისხის ლიტერატურულ პროდუქციას და დამახინჯებულ თარგმანს.

ამასწინად, ვლადიმერ მაიაკოვსკის გარდაცვალების 22 წლისთავის აღსანიშნავად გაზეთმა დაბეჭდა პ. ნაცვლიშვილის წერილი „საბჭოთა პოეზიის სიამაყე“. წერილში მოყვანილია მაიაკოვსკის ლექსების ზოგიერთი ქართული თარგმანი, რომელიც უმეტეს შემთხვევაში არ შეესაბამება და ამახინჯებს ორიგინალს. ვ. მაიაკოვსკის ცნობილი ლექსი საბჭოთა პასპორტზე აქ ასეა დამახინჯებული და გაშარჟებული:

„...შეხედეთ, წაიკითხეთ, სიხარბით გასკდით ჭიპზე(!) — მე ვარ მოქალაქე დიადი საბჭოთა კავშირის“.

ამ უხეირო თარგმანის მიხედვით შეუძლებელია წარმოდგენა ვიქონიოთ მაიაკოვსკის შესანიშნავ ლექსზე, რომელიც უბადლო, ამაღლებული პოეტური სტრიქონებით არის დაბოლოებული:

„Читайте,
завидуйте:
я —
гражданин
Советского Союза“.

„მგზნებარე კოლხიდელის“ რედაქციის მუშაკებმა უნდა იცოდნენ, რომ ყოვლად დაუშვებელი და შეუწყნარებელია თარგმანისადმი ასეთი დამოკიდებულება.

კულტურის ახალ სახლში

კასპი. (საკ. კორ.). სტალინის სახელობის კასპის ცემენტის ქარხანასთან დამთავრდა კულტურის სახლის მშენებლობა. კულტურის სახლთან ჩამოყალიბებულია ქართული და რუსული დრამატული წრეები.

კულტურის სახლის დასმა მაყურებელს უკანასკნელ ხანებში უჩვენა ს. შანშიაშვილის „ხევისბერი გოჩა“, აკაკი წერეთლის „კინტო“ და სხვ.

ქართულ დრამატულ წრეს უნარიანად ხელმძღვანელობს მ. ბლუაშვილი. წრე დასადგმელად ამზადებს ცაგარლის პიესას „რაც გინახავს, ვედარ ნახავ“. როგორც ქართული, ისე რუსული დრამატული წრეები ხშირად აწყობენ წარმოდგენებს რაიონის კოლმეურნეობებში. დრამატულმა წრეებმა თავიანთი დადგმები უჩვენეს აგრეთვე გორელ ფეიქრებს.

უყურადღებობა პირუტყვისათვის საკვების მომზადებაში

წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებს საშუალება აქვთ წელს პირუტყვისათვის დაამზადონ თითქმის ორი წლის სამყოფი, ზოგან კი მეტი რაოდენობის თივა და სილოსი. ხშირი ნალექების გამო განსაკუთრებით უხვად არის ბალახები: კაპუეტა, სამყურა, იონჯა, ესპარცეტი, სათითურა, რაც უკვე შეთოსულია და პურის მასობრივად აღების დაწყებამდე ყველგან უნდა გაითიბოს. ეს მით უფრო აუცილებელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამავე ფართობებზე უკვე დაწყებულია მეოთხე ჯგუფის მცენარეების — უროს, ავშანის, ყარღანის, ხურხუმის განვითარება, რომლებიც შემოდგომაზე გაითიბება ან პირუტყვის საძოვრად იქნება გამოყენებული.

მოწინავე კოლმეურნეობები ამას კარგად ითვალისწინებენ. თიბვის გეგმები ბევრგან დიდი გადაჭარბებით შესრულეს და კვლავ განაგრძობენ თიბვას. მაგრამ მთლიანად რაიონში როგორც თიბვის, ისე საერთოდ უხეშო საკვების დაგროვების ტემპი არადამაკმაყოფილებელია, ზოგ კოლმეურნეობაში ელოდებიან უკეთესი ამინდის დადგომას, მთლიანად არ იყენებენ მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს. თიბვაზე საკმაო რაოდენობით არ გამოჰყავთ მუშახელი, ხელიდან უშვებენ საუკეთესო დროს. ამის შედეგად თიბვა ჩამორჩა.

სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ამჟამად 45.000 სული მარტო ცხვარი ჰყავთ, ცხენი კი — ოთხასამდე, ხოლო მსხვილფეხა რქიანი საქონელი ორი ათას ორასზე მეტი სული. აქ წელს თივაზე გადაყვანილი სულ მცირე 7.800 ტონა უხეში საკვები უნდა დაამზადონ. მაგრამ ამას როდი ითვალისწინებენ. 33 სათიბიდან, რომლებიც კოლმეურნეობას აქვს და რომლებზეც დღეში სულ ცოტა 150 ჰექტარი მაინც შეიძლება გაითიბოს, დიდი ნაწილი მომცდარია. კოლმეურნეობას ბევრი ჰყავს ცხენი, ხარი, მაგრამ მათ სათანადოდ არ იყენებენ.

მირზაანის XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობას, ისევე როგორც რაიონის სხვა კოლმეურნეობებს, თივის 2-3 წლის მარაგი შეუძლია დააგროვოს. მაგრამ მუშაობა ვერც აქ მოაგვარეს. არსებული საშუალებებით მათ დღეში სულ მცირე 20 ჰექტარი შეუძლიათ გათიბონ, ფაქტიურად 6 სათიბიდან დიდი ნაწილი გამოუყენებელია და ხელითაც იშვიათად თიბავენ. ამის შედეგია, რომ კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ალ. ბიკაშვილი) 400 ჰექტარიდან მხოლოდ 200 ჰექტარი აქვს გათიბული.

წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში 19 სათიბი მანქანიდან სრული დატვირთვით მხოლოდ ნახევარი თუ მუშაობს, თიბვის გეგმა მესამედითაც არ არის შესრულებული.

რაიონის მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა სასილოსე ორმოები ბევრად მეტი ტევადობისა მოაწყეს, ვიდრე გეგმა ითვალისწინებდა. მაგრამ ზოგან ეს საქმე სრულიად მიივიწყეს, მაგალითად, საბათლოს მიქოიანის, არხილოსკალოს კიროვის, არბოშიკის ბერიას, მირზაანის XVIII პარტყრილობის სახელობის და ზოგიერთ სხვა კოლმეურნეობაში. ამის გამო ამ კოლმეურნეობებში ჩამორჩა სილოსის ჩადების საქმე.

სუსტად მუშაობს მეცხოველეობის სამანქანო სადგური, მთლიანად და მალალნაყოფიერად არ იყენებს თავის საშუალებებს. რაიონის კოლმეურნეობებს, მართალია, გეგმით 10.800 ტონა სილოსის ჩადება ევალებათ, მაგრამ, თუ ბალახის სიუხვეს გავითვალისწინებთ, დღემდე მხოლოდ 8.000-მდე ტონის ჩადება არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს. საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ სამანქანო სადგურმა შეძლოს თვითეულ კოლმეურნეობაში თითო სილოსსაჭრელი მაინც ამუშაოს და უკეთეს შედეგსაც მიაღწიოს.

საჭიროა სრული დატვირთვით გამოვიყენოთ სათიბი მანქანები, სილოსსაჭრელები და მუშახელი იმისათვის, რომ გადაჭარბებით შევასრულოთ საკვების დამზადების გეგმა.

ტ. თოდრაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

გამოუქვეყნებელი წერილების კვადრაკვაზ

აღრიცხვა უნდა მოწესრიგდეს

სოფელ შუა განახლების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. უაჭეიშვილი კარგად ვერ უძღვება საქმეს, კოლმეურნეობაში არღვევენ საკოლმეურნეო წესდებას, ანგარიშწარმობა მოუწესრიგებელია, კოლმეურნეთა შრომადღეებს ზუსტად არ აღრიცხავენ, აპარატში მოკალათებული არიან შეუფერებელი მუშაკები,— გვატყობინებდნენ სოფლკორები.

წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს კ. პ. (ბ) ჩოხატაურის რაიკომს. როგორც რაიკომი გვაცნობებს, სოფელ შუა განახლების კოლმეურნეობის საკითხი ამას წინათ განიხილა რაიკომის ბიურომ, რომელმაც კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, საკ. კ. პ. (ბ) წევრს ამხ. გ. უაჭეიშვილს საკოლმეურნეო ანგარიშსწორების მოუწესრიგებლობისათვის, არტელის სანიმუშო წესდების დარღვევისათვის გამოუცხადა საყვედური საღრიცხვო ბარათში შეტანით. პარტიული სასჯელი დაედო აგრეთვე კოლმეურნეობის ბუხჰალტერს ამხ. გუდავაძეს. რაიკომის ბიურომ რჩევა მისცა კოლმეურნეობის გამგეობას სამუშაოდან გაათავისუფლოს კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე კ. უაჭეიშვილი და ფერმის გამგე კარლო უაჭეიშვილი.

თელავში მშენებლობა ჭიანურდება

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს თბილისის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო (უფროსი თ. კინწურაშვილი) თელავის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკის მუშამოსამსახურეებისათვის ოთხსართულიან საცხოვრებელ სახლს აშენებს. მშენებლობა 1949 წლის შემოდგომაზე დაიწყეს. ფაბრიკის დირექციას შეპირდნენ, რომ სახლის აგებას 1951 წლის პირველ სექტემბრამდე დაამთავრებდნენ. ძლს შემდეგ 9 თვე გავიდა, მაგრამ მშენებლობის ხელმძღვანელმა ინჟინერმა ამხ. ა. პოპოვმა დღესაც არ იცის, თუ როდის ჩამოხსნის ხარაჩოებს. მიმდინარე წლის ოთხ თვეში 203 ათასი მანეთის სამუშაო უნდა შეესრულებინათ. ეს თანხა მხოლოდ 32 პროცენტით იქნა ათვისებული.

საცხოვრებელი სახლის მშენებლები საქმის გაჭიანურებას თბილისიდან ელექტრო და სანიტარული ტექნიკის მოწყობილობის მიუღებლობით ხსნიან. მართალია, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მომარაგების სამმართველომ (უფროსი გ. კაკაბაძე), მიუხედავად მრავალი თხოვნისა, დღემდე ვერ უზრუნველყო მშენებლობა სათანადო მოწყობილობით, მაგრამ ამხ. პოპოვი ამით თავს ვერ გაიმართლებს. მას სხვა სამუშაოც ბევრი აქვს შეუსრულებელი. დაუმთავრებელია ხისა და ცემენტის იატაკის დაგება, კარების, ფანჯრებისა და კიბეების ნაწილი გაუკეთებელია, შენობის უკანა აივნების მოწყობა ნელი ტემპით წარმოებს, ფასადი დასამთავრებელია და სხვ. იცის თუ არა ამხ. პოპოვმა, რომ ამ სამუშაოებს ელექტრო და სანიტარული ტექნიკის მოწყობილობა არა სჭირდება? იცის, მაგრამ მიზეზებს ეძებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თელავის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკის დირექტორი ამხ. გ. ცხადაძე მშენებლობის მალე დასამთავრებლად საჭირო ზომებს არ იღებს.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გურჯაანის სამშენებლო-სამონტაჟო კანტორა (მმართველი გ. ჯაშიაშვილი) თელავის ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო სკოლისათვის სამსართულიან საცხოვრებელ სახლს აშენებს. მშენებლობის დამთავრებას გასული წლის ზაფხულში ფიქრობდნენ, მაგრამ ფაქტიურად დღემდე სამუშაოთა მხოლოდ 70 პროცენტია შესრულებული, ხოლო ამჟამად მშენებლობა შეჩერებულია.

საქართველოს მარმარილოს ტრესტის ფიქალფხვნილის ქარხნის მშენებლობის კანტორა თელავის ცენტრში ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლის აგებას შეუდგა. მშენებლობაზე 2.074 ათასი მანეთი უნდა დაიხარჯოს, ერთი წლის განმავლობაში მხოლოდ 315 ათასი მანეთის სამუშაო შეასრულეს. სახლის აგებას პირველად შეთავსებით ინჟინერი ა. პოპოვი აწარმოებდა. ეს ის პოპოვია, რომელიც ძაფსახვევი ფაბრიკის სახლის მშენებლობას აჭიანურებს. მან სარდაფის კედლები არასწორად ააგო. შემდეგ მშენებლობის უფროსად ინჟინერი შ. ნარეკლიშვილი დანიშნეს. იგი იძულებული გახდა ცუდად აშენებული დაენგრია და მშენებლობა ახლად დაეწყო. ამრიგად, პოპოვის დანაშაულებრივი მოქმედებით სახელმწიფომ 30 ათას მანეთზე მეტი იზარალა. ამ საქმეზე ბევრი აქტი შეადგინეს, მაგრამ პოპოვისათვის დღემდე პასუხი არავის მოუთხოვია.

თელავის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი (მმართველი ი. ხუციშვილი) ადმინისტრაციულ-სამრეწველო სახლს აშენებს. ამ მშენებლობისათვის 1.422 ათასი მანეთია გათვალისწინებული. მშენებლობის დამთავრებას მიმდინარე წლის პირველ ოქტომბრამდე ვარაუდობენ, მაგრამ, თუ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ მშენებლობას ხის მასალა, საერთო გათბობის მოწყობილობა, კიბის საფეხურები და სხვა მასალები არ მიაწოდა, მას მომავალ წელსაც ვერ დაამთავრებენ. მშენებლობის გაჭიანურება კი ზედმეტ ხარჯებს გამოიწვევს.

საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „წყალმშენის“ სამშენებლო-სამონტაჟო კანტორა (მმართველი შ. სიხარულიძე) თელავის სასისტემო სამმართველოსათვის სამსართულიან ადმინისტრაციულ სახლს აშენებს. მშენებლობა 1953 წელს უნდა დამთავრდეს, მაგრამ რატომღაც არა ჩქარობენ. მიმდინარე წლის 6 თვეში 200 ათასი მანეთი უნდა დაეხარჯათ, ფაქტიურად 5 თვეში 70 ათას მანეთზე მეტი ვერ აითვისეს. ამ საქმეში ბრალი მიუძღვის თელავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს, რომელმაც დროზე ვერ უზრუნველყო მშენებლობის ადგილას უვარგისი ნაგებობის აღება.

რამდენიმე სიტყვა მშენებლობის ხარისხზე. თელავის ცენტრში ათ წელზე მეტ ხანს აშენებდნენ 14-ბინიან საცხოვრებელ სახლს. გასულ წელს კომუნალურმა განყოფილებამ მშენებლობა დამთავრებულად ცნო და ბინები გაანაწილა. ფაქტიურად ოთახები გამართული არ იყო, მობინადრეთა უმრავლესობამ საკუთარი სახსრებით შეასრულა მთელი რიგი სამუშაოები. აღნიშნულ სახლს კანალიზაცია არა აქვს, იატაკი და ჭერი უხეიროდ არის გაკეთებული.

საქართველოს კ. პ. (ბ) თელავის რაიკომი და თელავის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომი ხშირად იხილავენ მშენებლობის საკითხებს, ღონისძიებებსაც ბევრს სახავენ, მაგრამ დადგენილებათა შესრულების შემოწმება აციწყდებათ.

ს. ჟოჩლაძე,
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

ჭიათურა. ნინოშვილის ჭუჩის ხედი.

ფოტო ვ. ვახტანგაძისა.

აგრონომის რჩევა-დარიგება

ფაართოდ გავავრცელოთ ლიმონის კულტურა კასრებში

უკანასკნელ წლებში კასრებსა და ქოთნებში ლიმონის კულტურის გაშენებამ ფართო გავრცელება ჰპოვა. მარტო გასულ წელს ქალაქ თბილისის, აგრეთვე ლაგოდეხის, თელავის, ჯორჯაანის, ყვარლისა და სხვა რაიონების მშრომელებს კასრებში დარგული ჰქონდათ 10 ათასამდე ძირი ლიმონი. კასრში დარგული ლიმონის თვითეული ხე-ბუჩქზე ყოველწლიურად ზოგან 50-100 ცალ ნაყოფს კრეფენ. წელს თბილისის მშრომელები კასრებში დარგავენ 7.000 ძირ ლიმონს, ხოლო 1953 წელს — 8.500 მცენარეს.

საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების სამინისტროს ხეხილ-სანერგის რესპუბლიკურ კანტორას სპეციალურ ორანჟერიებში დიდუბეში საკმაო რაოდენობით მოეპოვება კასრებსა და ქოთნებში ჩარგული ლიმონის ნერგი, რომელიც მსურველთ ყოველთვის შეუძლიათ შეიძინონ.

წესიერად მოვლილი კასრის ლიმონი 3-4 წლის ასაკში ისხამს 10-15 ცალ ნაყოფს, ხოლო 8-10 წლის ხე იძლევა 50-140 ცალს.

ლიმონის ნაყოფი დიდად სასარგებლოა ადამიანისათვის. იგი შეიცავს ორგანიზმისათვის მეტად საჭირო ნივთიერებებს, კერძოდ, ორგანულ მჟავებსა და ვიტამინებს. ლიმონს მედიცინაშიც იყენებენ: ანგინის, მუცლის ტიფის, დიფტერიის, კოლიტის, სისხლის მალალი წნევისა და სხვა დაავადებათა წინააღმდეგ.

სტალინური პრემიის ლაურეატის პროფესორ ბ. ტოკინის გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ ციტრუსების, კერძოდ ლიმონის როგორც ძველი, ისე ახალი ფოთოლი და ნაყოფი გამოყოფს ფიტონციდების (ტოქსიკური ნივთიერებანი) ისეთ მჭრელავ ფრაქციებს, რომლებიც 5-6 წუთის განმავლობაში სპობენ ჰაერში ადამიანისათვის მავნე მიკროორგანიზმებსა და სოკოვან დაავადებათა გამომწვევ მიკრობებს. ამასთან ფიტონციდები მნიშვნელოვნად აჯანსაღებენ ჰაერს.

ოთახის პირობებში კარგად იზრდება და ისხამს ლიმონის მხოლოდ ის ნერგები, რომლებიც გამრავლებულია დაკალმებით და ტოტების დაფესვიანებით. ლიმონის მრავალი ჯიშიდან საკასრედ ყველას სჯობია „ახალი ქართული“ და „მეიერი“. ამ ჯიშების ხეები უხვად იძლევიან საუკეთესო ხარისხის ნაყოფს, ხასიათდებიან მცირე ეკლიანობით.

2-3 წლის ლიმონის ნერგისათვის შესაფერი ზომის კასრები ან ქოთნები უნდა ვიქონიოთ, ხოლო როდესაც მცენარე გაიზრდება და კასრში ფესვები ვერ მოთავსდება, მაშინ, იგი უნდა გადავრგოთ უფრო მეტი მოცულობის კასრში. კასრის ან ქოთნის სიდიდე მცენარის ზრდასთან ერთად პროპორციულად უნდა შეიცვალოს. 5 წლამდე მცენარის გადარგვა კასრში საჭიროა ყოველწლიურად ხდებოდეს, 5-8 წლამდე — 2-3 წელში ერთხელ, ხოლო 10-12-წლიანი და მეტი ხნოვანებისა ერთხელ 5-6 წლის განმავლობაში.

საკასრე ლიმონის ფესვთა სისტემა წყლის საუკეთესო რეჟიმით და ჰაერით უნდა იქნას უზრუნველყოფილი. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის შემადგენლობას. გამოუსადეგარია მძიმე თიხნარი მიწა.

საკასრე ლიმონისათვის მიწა სპეციალურად მზადდება, რისთვისაც იღებენ ჰუმუსს, კარგად გადამწვარ ნაკელს და სილის თანაბარ ნარევს. ნარევი მიწა უნდა გაიცრას და კარგად გასუფთავდეს მსხვილი ნაწილებისაგან, შემდეგ კასრში ვყრით შემზადებულ მიწას და ვტკეპნით მას.

ლიმონის ნერგის კასრში ან ქოთანში ჩარგვის ტექნიკა შემდეგია: დარგვამდე ნერგის ფესვები ერთი მესამედით სეკატორით უნდა დამოკლდეს. ასევე უნდა გაისხლას ლიმონის ძირითადი ტოტებიც, თუ ეს ოპერაცია სანერგეში არ მოუხდენიათ ნერგის დარგვისთანავე კასრში, განსაკუთრებით კედლებისაკენ, მიწა უნდა დაიტკეპნოს. ჩარგვის შემდეგ ნერგი კარგად უნდა მოვრწყათ და 15-20 დღის განმავლობაში ვიქონიოთ თბილ და დაჩრდილულ ადგილზე.

ლიმონის ზრდის და მოსავლიანობის გადიდებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სასუქებს. მცენარეს ზრდის პერიოდში (მარტი — ოქტომბერი) საჭიროა მივცეთ აზოტის და კალიუმის ნარევი ყოველ 15-20 დღეში.

ფოსფოროვანი სასუქის შეტანა ხდება თვეში ერთხელ.

მაღაზიებში იყიდება სპეციალურად მომზადებული მინერალური სასუქების ნაზავი, რომელიც შეიძლება საკასრე ლიმონისთვისაც გამოვიყენოთ. გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე საკასრე ლიმონი ეზოში ან ივანაზე უნდა გამოვიტანოთ. ეს ხელს შეუწყობს მცენარის ზრდა-განვითარებას. შემოდგომაზე ოთახში შეტანის შემდეგ ლიმონს ფოთლები რომ არ დაცვივდეს, იგი უნდა მოვათავსოთ შედარებით გრილ ოთახში. რაც უფრო თანაბარი იქნება ოთახში ჰაერის ტემპერატურა, მით უკეთესია ლიმონის გამოზამთრებისათვის. ლიმონის ხეები უზრუნველყოფილ უნდა იქნან საკმაო სინათლით. რაც მეტია სინათლე, მით უკეთ მიმდინარეობს მცენარის ზრდა, ყვავილობა, დაკოკრება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ლიმონის ზაფხულში მორწყვას. ლიმონი ჩვეულებრივად უნდა მორწყას ყოველ მეორე ან მესამე დღეს, ცხელ დღეებში კი ყოველდღიურად. უმჯობესია დილით ან საღამოთი მორწყვა. შემოდგომაზე ნაყოფის მომწიფების მიზნით მორწყვა უნდა შემცირდეს.

მავნებლებიდან საკასრე ლიმონისათვის მეტი ზიანი მოაქვთ მწუწნავებს, ფარიანებს, ცრუფარიანებს და ტკიპებს. ფარიანები ვითარდებიან ღეროზე, ნაყოფსა და ფოთლებზე. თუ მათ საწინააღმდეგოდ დროზე არ იქნა მიღებული ზომები, ფოთლები ყვითლდება, ჩამოსცვივა და ზოგ შემთხვევაში ყლორტებიც ხმობას იწყებს.

მცენარის მავნებლებისა და დაავადების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა აუცილებელი პირობაა ლიმონის კულტურის წარმატებით გავრცელებისათვის ოთახის პირობებში.

დ. ფაილოძე,
ი. ლეკვეიშვილი,
საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების სამინისტროს აგრონომები.

ფელეტონი

ჩაძირული საქმე

ვინ იცის რამდენი ქალალდი დაიხარჯა, რამდენი მელანი დაშრა და რამდენი კალამი გაცვდა მაიაკოვსკის რაიონის სამრეწველო კომბინატში არსებულ უმსგავსობათა შესახებ წერაში. ერთ წელზე ცოტა მეტ ხანში კომბინატს სამი დირექტორი მოევლინა და, როგორც იტყვიან, ყველანი წერად გადაიქცნენ: ყოველი მიმართულებით გზავნიდნენ მოხსენებითს ბარათებს თუ სიგნალებს სამრეწველო კომბინატობაში გამეფებულ უმსგავსო მდგომარეობაზე.

განსაკუთრებით შეუპოვარი და დაუღალავი აღმოჩნდა კომბინატის ახლანდელი დირექტორი გ. ბერაძე. ვის არ გაუგზავნა მან ენაწყლიანად შედგენილი ბარათები — პარტიის რაიონულ კომიტეტს და რაიონული საბჭოს აღმასკომს, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, ქუთაისის ოლქის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს და ქუთაისის ოლქის პროკურორს.

ტყუილად ფიქრობდა გ. ბერაძე, რომ მისი მოხსენებითი ბარათები ნამდვილ ცეცხლს დაანთებდა, რომ მათი მიღებისთანავე სამინისტროდან და პროკურატურის ორგანოებიდან დაუყოვნებლივ წამოვიდოდნენ მიუკერძოებელი წარმომადგენლები და დაიწყებოდა ძიება და შემოწმება, მოკლედ — ცოდვა-მადლის გაკითხვა. მალე გამოირკვა, რომ მოხსენებითმა ბარათებმა არც არავინ დაინტერესა, არც არავინ აღელვა და მით უფრო არც არავინ აღაშფოთა.

მოკლედ: არსაიდან ხმა, არსით ძახილი! მაგრამ არა, ერთგან, ერთს რაიონულ დაწესებულებაში კარგა ხნის შემდეგ თითქოს რაღაც შეირხა, რაღაც სიცოცხლისა და გამოხმაურების ნიშნები დაისახა. მაიაკოვსკის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. დოგრაშვილმა ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა სამრეწველო კომბინატის საქმიანობის შემოწმება. გამოიყო კომისია საფინანსო განყოფილების გამგის კ. კიკნაძის თავმჯდომარეობით, რომელსაც დაეალა გ. ბერაძის მოხსენებითს ბარათში მოყვანილი ფაქტების შემოწმება.

როგორც იყო, იანვარში კომისიამ მუშაობა დაამთავრა, ხოლო ერთი თვის შემდეგ კ. კიკნაძემ მოხსენებითი ბარათი და სარევიზიო აქტი გააფორმა. ამ დოკუმენტების თითქმის ყოველ სტრიქონში გვხვდება სიტყვები: „მითვისებულია“, „გაფლანგულია“, „უკანონოდ ჩამოწერილია“, „საეჭვოა“...

აი რამდენიმე ადგილი მოხსენებითი ბარათიდან:

— საირმის სახერხი ქარხნის მშენებლობაზე გადახარჯულია 10.549 მანეთი.

— სახერხი ქარხნის ფარდულის მშენებლობაზე გაცემულია 67.990 მანეთი... აქტი და სხვა დოკუმენტები საეჭვოა. პასუხისმგებლობა ეკისრება ბ. ჭუმბურიძეს.

— ბაღურის ქარხნის № 1 ფარდული არ აშენებულა. არარსებული ფარდულის აშენებაზე გაცემულია 20.713 მანეთი. პასუხისმგებლობა ეკისრება მ. ჩხეიძეს.

— სახერხ ქარხანასთან არსებული წისქვილი ვ. ჩხეტიამ იყიდა, მაგრამ თანხა შემოსავალში არ არის აღრიცხული.

— სამრეწველო კომბინატის ყოფილი დირექტორის მ. საყვარელიძის მიერ კერძო პირისაგან ნაღდ ანგარიშზე შეძენილია მსუბუქი ავტომანქანა, რომელიც არსად ჩანს.

— 1948 წელს შეძენილ ხარებზე ზედმეტად გაცემული და მითვისებულია 8.000 მანეთი.

— კომბინატის თანამშრომლების ბ. ჭუმბურიძის და დ. სახამბერიძის მიერ ფიქციური ხელწერილებით მითვისებულია 6.000 მანეთი.

დოკუმენტები ორ ცალად იქნა შედგენილი, რომელთაგან ერთი რაიონულ კომიტეტს ჩაბარდა, ხოლო მეორე — რაისაბჭოს აღმასკომს. გავიდა კიდევ ერთი თვე. 14 მარტს რაისაბჭოს აღმასკომის სხდომაზე განიხილეს შემოწმების შედეგები და მიიღეს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ „შემოწმების მასალები, რომელიც ჩატარდა მრეწველობის დირექტორის ამხ. გ. ბერაძის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, გადაეცეს მაიაკოვსკის რაიონის პროკურორს დასაზუსტებლად და კონკრეტულ დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად“.

მეორე დღესვე პარტიის რაიონული კომიტეტის ყოფილმა მდივანმა ვ. ლორთქიფანიძემ მოხსენებითი ბარათის ასლზე, რომელიც მის ხელთ იყო, საეჭვო აჩქარებით წაიწერა: „საქმეში. საკითხი განიხილა აღმასკომმა. დამნაშავე პირები მიცემული არიან სასამართლო პასუხისგებაში“.

ამრიგად, მოხსენებითი ბარათის ერთი ცალი საბოლოოდ და უკან დაუბრუნებლად ჩაიძირა არქივის ჭაობში. ახლა საჭირო იყო ანგარიშის გასწორება მოხსენებითი ბარათის მეორე ცალთან. ამ საქმის შესრულება რაიონის პროკურორმა ვ. თავხელიძემ იკისრა. მან ეჭვის თვალით შეხედა რაისაბჭოს აღმასკომიდან მიღებულ მასალებს, რაც 75 გვერდს შეიცავდა, და იმაზე ფიქრი დაიწყო, თუ როგორ უხმაუროდ ჩაეძირა და დავიწყებისათვის მიეცა ეს საქმე. ამ ფიქრის შედეგი ის იყო, რომ 21 მარტს შემოწმების მთელი მასალები მაიაკოვსკიდან თბილისს გაიგზავნა ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის ამხ. გორდეზიანის სახელზე.

სამინისტრო, როგორც ჩანს, სრულიადაც არ გააკვირვა მაიაკოვსკიდან მიღებულმა მასალებმა. მისთვის ყოველივე ეს ახალი ამბავი არ იყო! თავის მიმართვაში „გულუბრყვილო“ პროკურორი მინისტრს შესჩიოდა, რომ მას სარევიზიო აქტი არ მიაჩნია სრულყოფილად, რადგანაც მასში მთელი რიგი საკითხები გამოურკვეველი და დაუზუსტებელია.

„—აღნიშნული მასალები რომ მიღებულ იქნას ჩემს წარმოებაში,—წერდა იგი ძლივს გასაგები ქართულით,—აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ჩატარდეს რევიზია მრეწველკომბინატის მუშაობა-საქმიანობის შესახებ გასულ წლებზე, რაც პროკურორის ფუნქციას არ შეიცავს და სხვა. ყოველივე ზემოდ აღნიშნულ გარემოებათა გამო, გთხოვთ განიხილოთ დასახელებული მასალები და თუ საჭიროა თქვენი მუშაკების საშუალებით ჩაატაროთ დოკუმენტალური ან ნაწილობრივი შემოწმება და საჭირო შემთხვევაში სათანადო ნარკვევი მასალები წესის მიხედვით გაფორმებული გადმოგვიგზავნოთ პროკურატურას დამნაშავეების მიმართ სათანადო ზომების მისაღებად“.

ასე, ერთი კალმის მოსმით გააქარწყლა რაისაბჭოს აღმასკომის დადგენილება „ფუნქციის“ მოყვარულმა პროკურორმა, რომელიც ხელფასს სახელმწიფო ინტერესების დაცვისათვის იღებს.

ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროში მაიაკოვსკიდან მიღებულ დოკუმენტებს გულგრილად შეხვდნენ, 29 მარტს საქმე კიდევ ერთი ახალი მიმართვით დაამძიმეს და, შემოწმების მასალები ქუთაისის ოლქის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს უფროსის ამხ. გ. გორდაძის ხელში აღმოჩნდა.

— ჩვენ სახელმწიფო კონტროლის სამინისტროდან მიღებული მასალებისათვის ვერ გაგვირთმევია თავი და ამას რაღა უნდა მოვუხერხოთ! — წყენით ჩაილაპარაკა გ. გორდაძემ და ისე ღრმად ჩააყურყუმალავა საქმე არქივის მტვერში, რომ 19 მაისამდე მის შესახებ არავის არაფერი სმენია.

19 მაისს კვლავ დაისახა შემოწმების მასალების ჩაძირვისაგან გადარჩენის ნიშნები. ამ დღეს სამმართველოში მიიღეს ქუთაისის ოლქის პროკურორის ამხ. შ. რეხვიაშვილის მოთხოვნა: „გთხოვთ ხელნაწერი მასალები, თუ ისინი დაზუსტებას არ საჭიროებენ, გადმოგზავნოთ დამნაშავეთა მიმართ საჭირო ზომების მისაღებად“.

მდგომარეობა სერიოზულ ხასიათს იღებდა. ადგილი შესაძლებელი იყო ოლქის პროკურორს არქივში ჩაძირული საქმე ისევ ამოეტივტივებინა, დამნაშავენი პასუხისგებაში მიეცა, თანაც მათი მფარველები და ხელისშეწყობნიც ზედ მიეყოლებინა. ბოლოს და ბოლოს საჭირო იყო თავიდან მოეშორებინათ ეს აბეზარი საქმე, რომელსაც არავითარ შემთხვევაში არ სურდა ჩაძირული იყო და დაეწყებას მისცემოდა. და აი, 26 მაისს კიდევ ერთი ახალი მიმართვით დამძიმებული საქმე კვლავ იწყებს „მოგზაურობას“. მაგრამ იგი ეგზავნება არა საოლქო პროკურატურას, როგორც ამხ. შ. რეხვიაშვილი მოითხოვდა, არამედ მაიაკოვსკის რაიონის პროკურორს.

რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ პროკურორი ვ. თავხელიძე საქმეთა ჩაძირვის დახელოვნებული ოსტატია?

მაგრამ საქმე, რომელიც 75 გვერდს და სამინისტროსა და სამმართველოს რამდენიმე მიმართვას შეიცავს, განსაკუთრებული საქმეა! ვ. თავხელიძის მთელი „გამოცდილება“ ფუჭი გამოდგა მის ჩასაძირავად.

სამართლიანობა მოითხოვს, რომ მკაცრად დაისაჯონ არა მარტო სახალხო დოვლათის აშკარა დამტაცებლები, არამედ ისინიც, რომლებიც ასე დაეხმარნენ და ჯიუტად ცდილობდნენ მთელი ამ საქმის არქივის მტვერში დასამარებას.

ვ. შავგულიძე.

ჩვენ გვწერენ

რესპორანი და სასადილო ბიბლიოთეკასთან შეუთავსებელია

ტყიბულქვანახშირის ტრესტის მუშათა ცენტრალურ უბანში ინჟინერ-ტექნიკოსთა ერთადერთი ბიბლიოთეკაა. ბიბლიოთეკის განკარგულებაშია პოლიტიკური, მხატვრული და ტექნიკური წიგნების ფრიად მნიშვნელოვანი ფონდი. ამიტომ არის, რომ ბიბლიოთეკას ბევრი მკითხველი ეტანება. მაგრამ, სამწუხაროდ, უკმაყოფილო გრუნდება. ამის მიზეზი ის არის, რომ სამკითხველოს გვერდით გახსნილია სასადილო, ხოლო მის სარდაფში რესტორანი, საიდანაც განუწყვეტლივ ისმის მოქეიფეთა ღრიანცელი. რესტორანის საშზარეულოს საკვამლე მილი, რომელიც ბიბლიოთეკის დარბაზშია ამოყვანილი, უვარგისია, რის შედეგადაც ხშირად ბიბლიოთეკაში კვამლი დგება. ამას წინათ ბიბლიოთეკის კედელს, რომელიც ხმას თავისუფლად ატარებს, სასადილოს მხრიდან მოადგეს ელექტრომაკრავი, რომლის ხმაური ხელს უშლის მკითხველებს.

ბიბლიოთეკის მუშაობის გაუმჯობესების საკითხი არაერთხელ დააყენეს ინჟინერ-ტექნიკოსებმა, მაგრამ ამას ყურადღება არავინ მიაქცია.

საკითხავია: რატომ არ ითვალისწინებენ ტყიბულქვანახშირის ტრესტში იმას, რომ რესტორანი და სასადილო ბიბლიოთეკასთან შეუთავსებელია?

ფ. ქათამაძე, ძ. კაჭახიძე,
ვ. ციბერეიძე, ლ. ქვლივაძე.

ი. ა. მალიკის წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებლისადმი

ნიუ-იორკი, 24 ივნისი. (საკლესი). 23 ივნისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელს გიორგ ფორუ-პიკოს შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა:

„ვადასტურებ რა, რომ მივიღე თქვენი 1952 წლის 20 ივნისის დეპეშა ნომერი 25/01 (სპეციალური), რომლითაც იტყობინებით, რომ ავღანეთის, ბირმის, ეგვიპტის, ინდოეთის, ინდონეზიის, ირანის, ერაყის, ლიბიის, პაკისტანის, ფილიპინების, საუდის არაბეთის, სირიის, იემენის მუდმივმა წარმომადგენლებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მე-20 მუხლისა და „გენერალური ასამბლეის პროცედურის წესების“ მე-9 (ა) წესის შესაბამისად მოგმართეს თხოვნით მოწვეულ იქნაა ასამბლეის სპეციალური სესია, რათა სასწრაფოდ განიხილოს საკითხი ტუნისში კვლავ არსებული დაძაბული მდგომარეობის შესახებ, პატივი მაქვს გაცნობოთ, რომ საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს აღნიშნულ სახელმწიფოთა თხოვნას ტუნისის საკითხზე გენერალური ასამბლეის სპეციალური სესიის მოწვევის შესახებ“.

მუშათა მოძრაობა ინგლისში

ლონდონი, 25 ივნისი. (საკლესი). მანქანათმშენებელი მრეწველობისა და მომიჯნავე დარგების საამქროთა მასსახლისებს ეროვნულმა საბჭომ ბირმინჰამში გამართა კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 130 საამქროს მასსახლისი — ინგლისის ისეთი უდიდესი ქარხნების 150 ათასი მანქანათმშენებელი მუშის წარმომადგენელნი, როგორიც არის, მაგალითად, კომპანია „დე ჰევილენდ ეირკრაფტ კომპანის“ საავიაციო ქარხნები, მანქანათმშენებელი ქარხნები „მეტროპოლიტენ ვიკერსი“, კომპანია „ინგლიშ სტილ კორპორეიშნის“ მეტალურგიული ქარხნები, საავტომობილო ქარხნები „როვერ მოტორ კომპანი“ და სხვ.

კონფერენციაზე ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს—დაიდოს ზავი კორეაში და გამოყვანილ იქნას კორეიდან ინგლისის მთელი ჯარები; გაჩაღდეს ფართო ბრძოლა უმუშევრობის წინააღმდეგ; გადიდდეს ხელფასი, უზრუნველყოფილ იქნას ყველა მუშა სამუშაოთი, დაწესდეს კონტროლი მოგებაზე, გადიდდეს მყიდველობითი უნარის შენარჩუნების სუბსიდიები, შემცირდეს ფასები; შემცირდეს შეიარაღების პროგრამა, დაიდოს შეთანხმება სხვა დიდ სახელმწიფოებთან; გაუქმდეს ამერიკელების მიერ შემოღებული შეზღუდვა და გაფართოვდეს ვაჭრობა ყველა ქვეყანასთან, მათ შორის საბჭოთა კავშირთან, ჩინეთთან და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან; ყველა რაიონში შეიქმნას მოქმედების კომიტეტები ერთობლივი ბრძოლისათვის ამ მიზნების მისაღწევად, მრეწველობის ძირითადი დარგების დენაციონალიზაციის ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ პროტესტის კამპანიის მოსაწყობად.

კ ო რ ე ი ს ა მ ბ ე ბ ი

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 24 ივნისი. (საკლესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობის თანახმად, გუშინ სახალხო არმიის შენაერთები და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილები განაგრძობდნენ თავდაცვითს ბრძოლებს — იგერიებდნენ ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელების იერიშებს.

მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ

პეკინი, 24 ივნისი. (საკლესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტის მიერ კესონიდან 23 ივნისს გადმოცემული ცნობაში ნათქვამია:

გუშინ კუნძულ კოჯედოზე ამერიკელებმა მოკლეს ჩვენი მხარის კიდევ ორი ტყვე. იმავე დღეს მათ გამოაცხადეს, რომ განზრახული აქვთ გადასცენ ლი სინ მანის ბანდიტებს ჩვენი მხარის 27 ათასი ტყვე, რომლებიც მათ უკანონოდ ჩათვალეს სამხრეთკორეელ სამოქალაქო პირებად.

კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების მონაწილე დელეგაციების დღევანდელ პლენარულ სხდომაზე გენერალმა ნამ ირმა პროტესტი განაცხადა ამერიკელების მიერ ჩვენი მხარის ტყვეების მოკვლის წინააღმდეგ. მან აღნიშნა, რომ ამერიკელებმა უნდა იკისრონ მთელი პასუხისმგებლობა მათ ხელში მყოფი ტყვეების უშიშროებისათვის. მან მოითხოვა, რომ ამერიკელებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ტყვეების მოკვლა, აგრეთვე წარმოადგინონ ახსნა-განმარტება გუშინდელი მკვლელობის შესახებ.

შეეხო რა ამერიკელების ცდას ცალმხრივად გადაწყვიტონ ჩვენი მხარის იმ ტყვეების საკითხი, რომლებიც ამჟამად მათ ხელში არიან, გენერალმა ნამ ირმა განაცხადა: „ამჟამად მეორე მხარის ხელში მყოფი სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის საკითხი ირჩევა მოლაპარაკებაზე დაზავების შესახებ. არც ერთ მხარეს არა აქვს არავითარი უფლება ცალმხრივად გადაწყვიტოს სამხედრო ტყვეების საკითხი.

ჩვენ არასოდეს არ ვეთანხმებოდით ჩვენი ტყვეების თქვენს კლასიფიკაციას, როგორც ეგრეთწოდებული სამოქალაქო პირებისა, რომლებიც მცველთა მეთვალყურეობაში არიან. ამ საბაბით ჩვენი ტყვეების საკითხის ცალმხრივად გადაჭრის ცდა უკანონო და დაუსაბუთებელია. ჩვენ არასოდეს არ დავთანხმდებით ამაზე“.

გენერალმა ნამ ირმა მოითხოვა, რათა ამერიკელებმა დაუყოვნებლივ აიღონ ხელი ამ ცალმხრივ უკანონო ცდაზე.

დელეგაციების გუშინდელ პლენარულ სხდომაზე ამერიკელებმა კვლავ განაცხადეს, რომ ისინი არ ამბობენ უარს მოლაპარაკებაზე და იმედი აქვთ, რომ მიღწეულ იქნება დაზავება. გენერალმა ნამ ირმა აღნიშნა, რომ ამერიკელებმა საქმით და არა ლიტონი სტყვით უნდა ცხადყონ, რომ სურთ მოლაპარაკების წარმოება და დაზავების მიღწევა.

ჩვენმა მხარემ არაერთხელ იხმარა სერიოზული ღონისძიებანი იმ მიზნით, რომ სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის საკითხი გადაწყდეს ჩვენი მხარის წინადადებათა ფარგლებში, რაც ორივე მხარის სამხედრო ტყვეებს საშუალებას მისცემდა დაბრუნებულყვნენ შინ და დაეწყოთ მშვიდობიანი ცხოვრება ამ შეთანხმების საფუძველზე, რომლის მიხედვით ორივე მხარე იძლევა გარანტიას, რომ სამხედრო ტყვეები არ მიიღებენ მონაწილეობას კორეის ომში.

მაგრამ ამერიკელები უსინდისოდ ამბობდნენ უარს თავიანთ გარკვეულ განცხადებებზე და კვლავ დაჟინებით ცდილობენ განაზორციელონ ტყვეების დაკავების თავიანთი უკანონო მოთხოვნა. 2 მაისის შემდეგ ისინი სრულიად უარს ამბობენ მოლაპარაკებაზე. ამიტომ დღემდე დაზავება არ არის მიღწეული.

გენერალმა ნამ ირმა კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის საკითხი უნდა გადაწყდეს ქვენეკის 1949 წლის კონვენციის საფუძველზე და რომ „ჩვენი მხარის 2 მაისის წინადადება ერთად-ერთი გონივრული საფუძველია მისი გადაწყვეტისათვის“.

კორეელი ხალხი აღნიშნავს ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლის მეორე წლისთავს

ფხენიანი, 24 ივნისი. (საკლესი). 25 ივნისს სრულდება ამერიკელ აგრესორთა მიერ კორეაში გაჩაღებული ომის მეორე წლისთავი. კორეელი ხალხი ამ დღეს აღნიშნავს როგორც იმპერიალისტთა წინააღმდეგ ბრძოლის დღეს. კორეაში ეწყობა ამ თარიღისადმი მიძღვნილი მიტინგები.

დღეს ფხენიანში გაიმართა საზეიმო კრება, რომელსაც დაესწრნენ მუშები, გლეხები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, კორეის სახალხო არმიის მეომრები და ჩინელ სახალხო მოხალისეთა წარმომადგენელნი. კრაზე მოხსენება გააკეთა კორეის სახალხო არმიის მთავარი პოლიტსამმართველოს წარმომადგენელმა. მოხსენების შემდეგ გაიმართა კონცერტი.

თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ა ნ რ ი მ ა რ ჯ ვ ე ნ ს

პარიზი, 24 ივნისი. (საკლესი). გაზეთმა „ლუმანიტემ“ გამოაქვეყნა რეპატრიირებულ სამხედრო მოსამსახურეთა და ინდო-ჩინეთის ომში დალუპულ ჯარისკაცთა ოჯახების ეროვნული ასოციაციის სამდიგნოს წერილი საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ორიოლისადმი.

ამ წერილით ეროვნული ასოციაციის სამდივნო ათასობით წევრის სახელით მოითხოვს დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ საპყრობილიდან მამაცი ფრანგი პატრიოტი, რომელიც მსჯავრდადებულია იმისათვის, რომ მოუწოდებდა შეეწყვიტათ დანაშაულებრივი ომი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ.

„ჩვენს თავზე გამოცადეთ ამ ომის ფასი,— ნათქვამია წერილში,—და ამიტომ ყოველი ღონისძიებით ვიბრძვით მისი შეწყვეტისათვის. სწორედ ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ განთავისუფლებულ იქნას ის, ვისაც არა სურს, რომ სხვებმა, გამოსცადონ ის ტანჯვა, რაც ჩვენ გადავიტანეთ“.

ბრაზილიის მშრომელთა კონფედერაციის მიმართვა

მონტევიდეო, 24 ივნისი. (საკლესი). ბრაზილიის მშრომელთა კონფედერაციამ გაზეთ „იმპრენსა პოპულარში“ გამოაქვეყნა ბრაზილიის მშრომელებისადმი მიმართვა ომასთან დაკავშირებით, რომ სრულდება ამერიკელი აგრესორებისა და ლისინმანელთა ბანდების წინააღმდეგ კორეელი ხალხის გმირული ბრძოლის მეორე წლისთავი. მიმართვაში ნათქვამია:

„25 ივნისს ორი წელი სრულდება იმ დღიდან, რაც ამერიკელი იმპერიალისტები თავს დაესხნენ კორეელ ხალხს. ეს დანაშაული იწვევს მთელი მსოფლიოს მშრომელთა მრისხანე პროტესტს. ისინი სხვადასხვა ფორმით გამოხატავენ უდიდეს სოლიდარობას კორეელი ხალხისა და ჩინელი მოხალისეებისადმი, რომლებიც მამაცურ ბრძოლას ეწევიან, იცავენ თავიანთი ქვეყნის დამოუკიდებლობას და საყოველთაო მშვიდობის საქმეს. მთელ მსოფლიოში ხალხები მშრომელთა მეთაურობით სულ უფრო მეტ წინააღმდეგობას უწევენ იმპერიალისტების გეგმებს, რომლებიც ისწრაფვიან კორეიდან აგრესია გაავრცელონ სახალხო ჩინეთზე, საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებზე. ამ აგრესიული გეგმების წინააღმდეგ თვითეულ კაპიტალისტურ ქვეყანაში ერთობლივად გამოდიან მშრომელნი, ისინი იბრძვიან კორეაში ჯარების გაგზავნის წინააღმდეგ, ბაქტერიოლოგიური ომის შეწყვეტისათვის, კორეის ტერიტორიიდან ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიული ჯარების გაყვანისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის“.

ბრაზილიის მშრომელთა კონფედერაცია აბრალებს ამერიკელი აგრესორების მხეცობას სამხედრო ტყვეების მიმართ: ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენებას ქალების, ბავშვებისა და მოხუცების მასობრივი გაჟლეტისათვის.

ბრაზილიის მშრომელთა კონფედერაციამ ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელს მოუწოდა გამოთქვან თავიანთი სოლიდარობა კორეელი ხალხისადმი, გაუგზავნონ წერილები და დეპეშები კონგრესსა და მთავრობას და მოითხოვონ, რათა ბრაზილიის წარმომადგენლებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დაგმონ ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენება და მხარი დაუჭირონ უცხოთის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას კორეიდან.

ჯუნისელი ხალხის ბრძოლა კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ

კარიზი, 24 ივნისი. (საკლესი). დილის გაზეთების ცნობები მოწმობენ, რომ ტუნისში მდგომარეობა კვლავ დაძაბულია. მიუხედავად პოლიციის ტერორისა და რეპრესიებისა ტუნისელი პატრიოტები განაგრძობენ ბრძოლას ფრანგ ხელისუფალთა წინააღმდეგ, თავს ესხმიან პოლიციის საგუშაგოებს და კოლონიური ადმინისტრაციის შენობებს.

გაზეთ „ლუმანიტეს“ ცნობით, უკანასკნელი დღეების განმავლობაში ქალაქ ტუნისში აფეთქება მოხდა სამხედრო-საინჟინრო ნაწილის კუთვნილ შენობაში, ერთი საპყრობილის მცველის სახლსა და მე-3 ოლქის პოლიციის კომისარიატში. თავს დესხნენ აგრეთვე პოლიციის საგუშაგოს ქალაქ გაბესის რაიონში.

გაზეთი „ლუმანიტე“ აგრეთვე იუწყება, რომ გუშინ ტუნისში საფრანგეთის სამხედრო ტრიბუნალში დაიწყო 28 ახალგაზრდა ტუნისელი პატრიოტის გასამართლება, რომელთაც სიკვდილით დასჯა მოელინა. სასამართლოს პირველმა სხდომამ ერთბაშად ცხადყო, აღნიშნავს გაზეთი, რომ ფრანგმა ხელისუფლებმა გადაწყვიტეს ყოველივე იღონონ, რათა მიაღწიონ ტუნისელი პატრიოტებისათვის მკაცრი განაჩენის გამოტანას, რომელთა მთელი „დანაშაული“ მხოლოდ ის არის, რომ 19 იანვარს მონაწილეობას იღებდნენ ქალაქ არიანაში (ტუნისის გარეუბანი) გამართულ პატრიოტულ მანიფესტაციაში.

რუმინელი და საბჭოთა ფეხბურთელების ამხანაგური შეხვედრა

24 ივნისს მოსკოვში „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე მოეწყო რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ნაკრები გუნდის შეხვედრა საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის ფეხბურთელებთან.

თამაშის პირველი წუთებიდანვე მოსკოველები იერიშზე გადავიდნენ და მეოთხე წუთზე საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის თავდამსხმელმა კუთხეში ძლიერი დარტყმით პირველი ბურთი გაიტანა რუმინელ ფეხბურთელთა კარში.

მოსკოველთა იერიში ძლიერდება. მაგრამ კარში არაზუსტი დარტყმების გამო არმიელები ვერ ახერხებენ აშკარა უპირატესობის გამოყენებას.

შესვენების შემდეგ თამაში კვლავ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. მეთვრამეტე წუთზე არმიელთა გუნდის თავდასხმელმა ვ. ნიკოლაევმა მეორე ბურთი გაიტანა რუმინელთა კარში. რამდენამე წუთის შემდეგ მოწინააღმდეგის კარში გატანილ იქნა მესამე ბურთი.

შეჯიბრების უკანასკნელ წუთებში რუმინელებმა შესძლეს ერთი ბურთის გატანა.

საინტერესო შეხვედრა დამთავრდა საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 3 : 1.

კრივში გამარჯვებული ჭაბუკები

საქართველოს პირველობისათვის ჭაბუკ მოკრივეთა შეჯიბრებაში, რაც სუხუმში გაიმართა, თავიანთ წონითს კატეგორიებში საქართველოს 1952 წლის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს: ლ. ანდღულაძემ, ლ. ასატუროვმა (თბილისი), ფ. ლომიძემ (ქუთაისი), ლ. ჭელიძემ (სუხუმი), ე. სტეფანოვმა, რ. სარჭისოვმა, გ. მუხაძემ, რ. ტელეროვმა და რ. ბახანაშვილმა (ხუთივე თბილისიდან).

ფინალური პირველი ადგილი დაიკავა თბილისის ჭაბუკ მოკრივეთა გუნდმა (მწვრთნელი მ. ბერიეკი), მეორე ადგილზე გამოვიდა სუხუმის, ხოლო მესამეზე — ქუთაისის ჭაბუკ მოკრივეთა გუნდი.

შეჯიბრების შედეგად დაკომპლექტებულ იქნა საქართველოს სსრ ჭაბუკ მოკრივეთა ნაკრები გუნდი, რომელიც უახლოეს დღეებში საწვრთნელ მეცადინეობას დაიწყებს საკავშირო თასზე შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად.

საკავშირო თასის მოპოვებისათვის შეჯიბრება ჭაბუკ მოკრივეთა შორის გაიმართება 22-28 ივლისს ვილნიუსში.

ჭიათურის თეატრის კოლექტივი საგასტროლოდ გაემგზავრა

ჭიათურა. (ხაკ. კორ.). ჭიათურის ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი საგასტროლოდ გაემგზავრა ზესტაფონში, ქუთაისში, ამბროლაურში, ონსა და ცაგერში. ხანგრძლივი იქნება თეატრის საუკეთესო დადგმები.

ლ ე ქ ც ი ე ბ ი

26 ივნისს, ხალამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში დოცენტი ი. კაკარავა წაიკითხავს ლექციას თემაზე: **„საბჭოთა ახალგაზრდობის მორალური სახე“.**

• • •

27 ივნისს, ხალამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომში შედგება პროფესორ **ათაბეგოვის** ლექცია თემაზე: **„სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა“.**

საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან

ეროვნული

საბჭოთა ტურისტული [illegible] ... კუთხეებიდან [illegible] ... ტურისტებმა [illegible] ... საქართველოს სამხედრო გზას და საერთოდ საქართველოს ტურისტულ მარშრუტებს. მარტო უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში თბილისში უკვე იყო 700-ზე მეტი ტურისტი.

ისინი ჩამოსული იყვნენ საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ქალაქიდან და სამრეწველო ცენტრიდან. პროფესიათა მიხედვით ტურისტებს შორის უმეტესობას შეადგენენ მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები, პედაგოგები და მეცნიერ მუშაკები.

მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტისა და მისი ფილიალების კურსდამთავრებულთა გამოშვებისადმი მიძღვნილი საღამო

30 ივნისს საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში (ვლეხანოვის პროსპექტი № 182) შედგება საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტისა და მისი ფილიალების კურსდამთავრებულთა გამოშვებისადმი მიძღვნილი საღამო.

დასწრება მოსაწვევი ბარათებით.

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში

27 ივნისს საღამოს 8 საათზე და 30 წუთზე უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში (ოქტომბრის ქუჩა № 3) აკადემიკოსი გ. ს. ახვლედიანი წაიკითხავს მოხსენებას „საქართველოს და ინდოეთის კულტურული ურთიერთობა“. მოხსენების შემდეგ ნაჩვენები იქნება ინდური კინოსურათი „მოწის შვილნი“.

დასწრება მოსაწვევი ბარათებით.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — მოწინავე — არ მოვწყვიტოთ მარქსისტულ-ლენინური სწავლება პრაქტიკული ამოცანებისაგან.

დ. ჩხიკვიშვილი — მეცნიერების წვლილი თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობაში.

ლ. ჩხეიძე — ვ. ი. ლენინის სახელობის ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის 25 წლისთავი. **ვ. მაზანაშვილი** — კომბაინები გავიდნენ ველად.

ა. კუმარიტოვი — სამხრეთ ოსეთი მოსავლის აღების წინ.

მეორე გვერდი — **ლ. მუმლაძე** — წუნდფელები „თბილისმშენიდან“. **ა. მამალაძე** — სერიოზული ნაკლოვანებანი სამეურვალო ფიბრიკების მუშაობაში.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში.

პრესის მიმოხილვა — პარტიული მშენებლობის საკითხები რაიონული გაზეთის ფურცლებზე.

მესამე გვერდი — მკითხველთა წერილები. **შ. ბუაჩიძე** — მოზარდ მაყურებელთა თეატრებს — ყურადღება და მხარდაჭერა.

უცხოეთის ინფორმაციები.

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა. სადღეისო თემაზე.

რედაქტორი ბ. მერკვილაძე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის თბილისის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას I კურსზე 1952-1953 სასწავლო წლისათვის.

სასწავლებელს აქვს ორი განყოფილება: 1. საკლუბო—ამზადებს კულტურის სახლების, კლუბების, სამკითხველოებისა და კულტურისა და დასვენების პარკების ხელმძღვანელებსა და მუშაკებს.

2. საბიბლიოთეკო—ამზადებს საბიბლიოთეკო დაწესებულებათა გამგეებსა და ბიბლიოთეკარებს.

სასწავლებელი იძლევა საშუალო განათლებას და უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლებას. სწავლის ხანგრძლივობა 3 წელია. პირველ კურსზე მიიღებიან მოქალაქენი 14-დან 30 წლის ასაკამდე, რომელთაც დამთავრებული აქვთ 8-წლიანი სკოლა. უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ის პირნი, რომელთაც დამთავრებული აქვთ რვაწლიანი სკოლა ფრიადზე 1951-1952 წლებში. დანარჩენები 8 კლასის პროგრამის მოცულობით აბარებენ გამოცდას შემდეგ საგნებში: ქართულ ენაში (წერა და ზეპირი), რუსულ ენაში (წერა და ზეპირი), მათემატიკაში (წერა და ზეპირი) და სსრ კავშირის კონსტიტუციაში. ფრიადოსნები და ის პირები, რომლებიც მისაღებ გამოცდებს ჩაბარებენ „4“ და „5“ ნიშნებზე, უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით; იმ მოსწავლეებს, რომლებსაც არა აქვთ ბინა, სასწავლებელი ნაწილობრივ უნაზღაურებს ბინის ქირას.

განცხადება მიიღება დირექტორის სახელზე პირადად ან ფოსტით. განცხადებას უნდა დაერთოს: მოწმობა განათლების შესახებ (დედანი), ავტობიოგრაფია (შემსვლელის ხელით დაწერილი), დაბადების მოწმობა (დედანი), სამი ფოტოსურათი, ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ და ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (სამკურნალო დაწესებულებიდან გაცემული). განცხადებები მიიღება 17 აგვისტომდე. გამოცდები იწარმოებს 18 აგვისტოდან 28 აგვისტომდე. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

ცნობები გაიცემა და განცხადებები მიიღება ყოველდღე საღამოს 6 საათიდან 10 საათამდე, გარდა გამოსასვლელი დღეებისა.

მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 45, ტელეფონი—3-02-64.

თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი აცხადებს, რომ 1952-53 სასწავლო წლისათვის სტუდენტთა მიღება იწარმოებს გერმანული ენის, ინგლისური ენისა და ფრანგული ენის ფაკულტეტებზე.

უგამოცდოდ მიიღებიან ის პირნი, რომლებმაც საშუალო სკოლა დაამთავრეს ოქროს ან ვერცხლის მედლით, აგრეთვე პედაგოგიური ტექნიკუმის კურსდამთავრებულნი, რომელთაც აქვთ წარჩინების დიპლომი და გამოშვების 5%-ში შედიან.

შენიშვნა: ზემოაღნიშნული კატეგორიის პირები გამოცდას აბარებენ უცხო ენაში (სპეციალობის მიხედვით).

დანარჩენ პირები მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), უცხო ენაში სპეციალობის მიხედვით (ზეპირი), სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში, გეოგრაფიაში.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე სათანადო ფაკულტეტის აღნიშვნით. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: ატესტატი (დედანი), ავტობიოგრაფია, ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ, სამი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ 3×4 სმ. ზომისა), პასპორტი (წარმოადგენენ პირადად).

განცხადების შემოტანამ წინასწარ უნდა გაიაროს ინსტიტუტის საექიმო კომისია.

ინსტიტუტში შესვლის შესახებ განცხადებების მიღება იწარმოებს 30 ივლისამდე. მისაღები გამოცდები 1-დან 12 აგვისტომდე.

მსურველთ გაეწევათ კონსულტაცია ყველა საგამოცდო საგანში ივლისის 10-დან 30-მდე დღის 12 საათიდან 3 საათამდე.

ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება მიმღებ კომისიაში (ინსტიტუტის შენობა, I სართული, 12 საათიდან 3 საათამდე). ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, ფალიაშვილის ქ. 51, ტელეფონი—3-07-89.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საბჭოთა კავშირის გმირის ჭ. უ. ბენდელიანის სახელობის სამხედრო-საჰაერო ძალთა თბილისის სპეციალურ საშუალო სკოლაში მოსწავლეთა მიღება იწარმოებს 1952 წლის 10 აგვისტომდე. სკოლა ამზადებს კადრებს ოფიცერთა საფრენოსნო სასწავლებლებისათვის. მოსწავლეებს, რომლებიც სკოლას ოქროს მედლით დაამთავრებენ, ენიჭებათ სამხედრო-საჰაერო ძალთა აკადემიის საინჟინრო ფაკულტეტზე უგამოცდოდ შესვლის უფლება.

სკოლაში მიიღებიან ვაჟები, რომლებმაც 1951-1952 სასწავლო წელს დაამთავრეს 8 კლასი და დაბადებული არიან 1935, 1936 ან 1937 წლებში. სწავლება, ტანსაცმელი და კვება უფასოა. რაიონებიდან მოვლინებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით. სკოლაში შესვლის მსურველები გაივლიან სპეციალურ კომისიებს. განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი საბუთები: ავტობიოგრაფია (საკუთარი ხელით დაწერილი), მოწმობა 8 კლასის დამთავრების შესახებ, დაბადების მოწმობა, ცნობა მშობლთა საქმიანობის შესახებ, დახასიათება სკოლის დირექტორისაგან, ხოლო ალკა წევრებისათვის კომკავშირის ორგანიზაციისაგან, ორი ფოტოსურათი (უქუდოდ) 3×4 სმ.

ყველა საბუთი განმცხადებელმა პირადად უნდა შემოიტანოს სკოლის კანცელარიაში (ვლეხანოვის პროსპ. № 155) და თან იქონიოს პასპორტი (თუ შეუსრულდა 16 წელი).

ცნობების მიღება შეიძლება ტელეფონით 3-06-63 ან უშუალოდ სკოლის კანცელარიაში ყოველდღე, გარდა კვირადღისა 10 საათიდან 4 საათამდე.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის სამედიცინო დების მე-2 საშუალო სკოლა 1952-53 სასწავლო წელს აწარმოებს მოსწავლეთა მიღებას.

სკოლა ამზადებს კვალიფიციურ სამედიცინო დებს. უგამოცდოდ მიიღებიან ის პირები, რომლებმაც არასრული საშუალო სკოლა დაამთავრეს ფრიადზე 1951-52 წლებში, და საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი (1951-52 წლებში). დანარჩენები გამოცდას აბარებენ არასრული საშუალო სკოლის პროგრამის მოცულობით შემდეგ საგნებში: სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ზეპირი), ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერასა და ზეპირში), რუსულ ენაში (წერასა და ზეპირში), მათემატიკაში (წერასა და ზეპირში).

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: ავტობიოგრაფია, განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), ჯანმრთელობის მოწმობა, სამი ფოტოსურათი, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან. მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესის მიხედვით და სასწავლო ნივთებით.

საბუთები მიიღება ა. წ. 31 ივლისამდე, ხოლო კონსულტაციები და მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე სკოლის კანცელარიაში, საღამოს 5 საათიდან 9 საათამდე. მისამართი: ქ. თბილისი, სტალინის რაიონი, ორჯონიკიძის ქ. № 42, სამედიცინო დების მე-2 საშუალო სკოლა. ტელეფონი № 3-27-02.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს თბილისის პროფესიულ-ტექნიკური სკოლა აწარმოებს მოსწავლეთა მიღებას 1952-53 სასწავლო წლისათვის.

სკოლა ამზადებს მამაკაცთა და ქალთა ზედა ტანსაცმლის კერვის ოსტატებს. სწავლის ხანგრძლივობა ოთხი წელია.

სკოლაში მიიღებიან ორივე სქესის მოზარდები 15-დან 17 წლამდე, რომლებსაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლა. შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განცხადება პროფტექნიკური სკოლის დირექტორის სახელზე, ავტობიოგრაფია, მოწმობა არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ (დედანი), დაბადების მოწმობა, ჯანმრთელობის მოწმობა, ცნობა თბილისში საცხოვრებელი ბინიდან, სამი ცალი ფოტოსურათი ზომით 3×4 სმ. (უქუდოდ), პასპორტი (უნდა წარმოადგინოს პირადად). შემსვლელებმა უნდა ჩაბარონ გამოცდები შემდეგ საგნებში: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), მათემატიკაში (წერა და ზეპირი), სსრ კავშირის კონსტიტუციაში.

მიღებულნი უზრუნველყოფილ იქნებიან სტიპენდიით. გარდა ამისა, უდღემამოებს, სამამულო ომის ინვალიდებისა და სამამულო ომში დალუპულთა შვილებს მიეცემათ უფასო სამჯერადი კვება და ტანსაცმელი. განცხადებები მიიღება 10 აგვისტომდე. გამოცდები იწარმოებს 15 აგვისტოდან 20 აგვისტომდე. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. სკოლის მისამართი: თბილისი, კალინინის ქ. № 60, ტელეფონი — 3-26-66.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს მახარაძის ჩაის მრეწველობის ტექნოლოგიურ ტექნიკუმში მიღების პირობები 1952-53 სასწავლო წლისათვის.

ტექნიკუმი ამზადებს საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტებს ტექნიკოს-ტექნოლოგის წოდებით ჩაის მრეწველობისათვის. ტექნიკუმში მიიღებიან 14-დან 30 წლამდე ასაკის ორივე სქესის მოქალაქენი, რომლებსაც დამთავრებული აქვთ რვაწლიანი სკოლა ან საშუალო სკოლის 8-9 კლასი.

ტექნიკუმში შემსვლელნი აბარებენ გამოცდებს რვაწლიანი სკოლის საპროგრამო მასალის საფუძველზე შემდეგ საგნებში: სსრ კავშირის კონსტიტუცია, ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), რუსული ენა (წერა და ზეპირი), არითმეტიკა და ალგებრა (წერა და ზეპირი), გეომეტრია (ზეპირი).

ის პირები, რომლებმაც 1950-1951 წლებში დაამთავრეს რვაწლიანი სკოლა და ყველა საგანში აქვთ ნიშანი „5“, მიიღებიან უგამოცდოდ.

განცხადება მიიღება 31 ივლისამდე ტექნიკუმის კანცელარიაში (ნინოშვილის ქ. 7), ყოველდღე დილის 9 საათიდან საღ